პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ. წ.-ა.
და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-8 სართული.
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 2 9 ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 239

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— 15 ოქტომბერს პარიზში გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყრილობა.

— ეგვიპტის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს მის დაშვებას ახლო აღმოსავლეთის საზავო კონფერენციაზე.

— საბერძნეთის ჯარმა დაიწყო ადრიანოპოლის დაცლა.

— ინგლისის პრესა ილაშქრებს ლოიდ ჯორჯის უკანასკნელ სიტყვის წინააღმდეგ.

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისათვის

ამ ჟამად თბილისში მიმდინარეობს ჩვენი პარტიის საოლქო, სამაზრო და საქალაქო კომიტეტების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირი. თათბირზე მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ც. კ. ქალთა განყოფილების, პროფსაბჭოს, რკინისგზელთა კავშირის, საქართველოს წითელ არმიის პოლიტგანყოფილების, კავკასიის ცალკე არმიის პოლიტსამმართველოს და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენლები.

მთავარ საკითხად, რომელიც დასმულია თათბირის დღის წესრიგში, უნდა ჩაითვალოს: საგიტაციო საპროპაგანდო და პოლიტგანმანათლებელ მუშაობის მეთოდები, ფორმები და ძირითადი ამოცანები.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ სფეროში მუშაობა ჩვენში ვერ არის დაყენებული დამაკმაყოფილებლად. არც მკაცრად გამომუშავებული საერთო გეგმა გაგვაჩნია, არც მუშაობის ისეთი მეთოდები და ფორმები გვაქვს გამომუშავებული, რომელიც უფრო შეეფერება დღევანდელ ვითარებას და ადგილობრივ პირობებს. არც სათანადოდ მომზადებული ამხანაგების საკმაო რიცხვი გვყავს.

მთელი ჩვენი საგიტაციო-საპროპაგანდო და პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობა მოდუნებულია. და თუ ამ მხრივ რამე კეთდება, ამას უფრო შემთხვევის ხასიათი აქვს, ვინემ სისტემის.

ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ საგანგებო კომპანიებს, რომელიც ტარდებოდა დროგამოშვებით, მაგ. თესვის, დამშეულთა დახმარების, სამელიორაციო მუშაობის და სხვა კამპანიები, ისინი მართლაც ბრწყინვალედ ჩატარდა, მან საგრძნობი ნაყოფიც გამოიღო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს უფრო ჩვეულებრივი, ყოველდღიური მუშაობა ე. წ. მესამე ფრონტზე, ესაა ფრონტი სადაც ჩვენი პარტიის წევრების, ისე საერთოდ მშრომელი ხალხის პოლიტიკური გათვითცნობიერების, კულტურული დონის ამაღლების.

განსაკუთრებით დღეს, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში, გვმართებს ჩვენ ამ სფეროში მთელი ჩვენი უნარის და მაქსიმალური ენერგიის გამოჩენა. კომუნისტურ პარტიას ყოველ მხრიდან ეხეთქება წვრილბურჟუაზიულ სტიქიის ტალღები, რომელსაც ასაზრდოებს ახალი ეკონომიური პოლიტიკა, და გვიმუქრება წალეკვას, თავის მორევში ჩათრევას. და აქ ჩვენ უნდა შევსძლოთ საკუთარი სახის წმინდად შენარჩუნება, იდეოლოგიურ ფრონტზე „მებრძანებელი მწვერვალების“ დაპყრობა და კომუნისტურ გავლენის გავრცელება მშრომელ მასსებზე.

ბევრი საშუალებები არსებობს ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობის საწარმოებლად. რუსეთის კომპარტიის უკანასკნელმა, მე-XII კონფერენციამ იდეოლოგიურ ფრონტს მიაქცია მთავარი ყურადღება და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა გონივრულად და მიზანშეწონილად გატარება ცხოვრებაში, ეჭვი არ არი, ჩვენ გამარჯვებას მოგვანიჭებს.

ეხლა მიმდინარე თათბირი, ცხადია, სავსებით გაითვალისწინებს აღნიშნულ კონფერენციის ნამუშევარს და შეუფარდებს მის მიერ მოცემულ დირექტივებს ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებს. თუ რანაირია ეს პირობები, ეს უკეთ იციან ადგილებიდან ჩამოსულ ამხანაგებმა. მოხსენებები ადგილებიდან, რომელიც შეტანილია თათბირის დღის წესრიგში, საყურადღებო მასალას მოგვცემს, რომლის მიხედვით უნდა იქნეს დასახული შემდგომი მუშაობის მეთოდები და ფორმები.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საგიტაციო საპროპაგანდო და პოლიტგანმანათლებელი მუშაობის მეთოდების გამორკვევის დროს მისაღებია მხედველობაში არა მარტო საერთოდ ადგილობრივი პირობები, არამედ ცალკე ყოველი მასსის ხასიათიც, სადაც ეს მუშაობა იწარმოებს. ერთნაირად ვერ მიუდგებით ჩვენ, მაგალ., სოფლის გლეხობას, ჯარს, ახალგაზრდობას, ქალებს და სხ.

ყველა მათგანში საჭიროა ისეთი მუშაობა, რომელიც შეეფერება მათ ფსიხოლოგიას, მოთხოვნილებებს, ინტერესებს.

შემადგენლობა ჩვენი თათბირისა, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, იმის თავდებია, რომ თათბირი საკითხის ამ მხარეს სათანადოდ გაითვალისწინებს და თითოეულ წრისა და მდგომარეობისათვის გამონახავს მუშაობის სწორედ ისეთ ფორმებს, რომელიც მნიშვნელოვან შედეგებს გამოიღებს. საამისოდ ამხანაგებს უეჭველად უკვე შეძენილი აქვთ ერთგვარი გამოცდილება.

ჩვენ არ შევუდგებით ხსენებულ სფეროში მუშაობის შინაარსის და მეთოდების გადმოცემას.

მხოლოდ არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ ერთ გარემოებას.

იმ საშუალებათა შორის, რომელთა მიზანია ხალხის გათვითცნობიერება, მისი პოლიტიკური აღზრდა, ერთი უპირველესი ადგილთაგანი ეკუთვნის პრესას. პრესა ისეთი საშუალებაა, რომლის წყალობით მასსა ამყარებს შეგნებულ დამოკიდებულებას ცხოვრების მოვლენებისადმი, პრესის საშუალებით იზრდება მისი კლასობრივი თვითშემეცნება, პრესა უკაფავს მას მოქმედების და ცხოვრების გზას.

მაგრამ რომ ასეთი იყოს ჩვენი პრესა, ჩვენი გაზეთი,—ერთი მთავარი პირობაა გაზეთის და მშრომელი მასსის მჭიდრო დაახლოვება. ერთი მხრივ გაზეთი უნდა იყოს სრული და უტყუარი სარკე ჩვენი სინამდვილის, მუშათა და გლეხთა ცხოვრების, მათი ავ-კარგის, მეორე მხრივ ის უნდა იყოს სათანადოთ გავრცელებული, მისი წაკითხვა უნდა შეადგინდის ყოველი წერაკითხვის მცოდნე მუშის და გლეხის აუცილებელ მოთხოვნილებას. სამწუხაროდ, დღის ასე არ არის. მშრომელი მასსა, კერძოდ სოფელი არ არი დაახლოვებული გაზეთთან, პროვინცია არ იძლევა საკმაო მასალას მისი მიმდინარე ცხოვრების გასაშუქებლად. გაზეთი ხომ იშვიათი მოვლენაა იქ.

ასეთ არა ნორმალურ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო. ჩვენმა თათბირმა ამას უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და ამხანაგებმა უნდა მოაგვარონ გაზეთებისათვის პროვინციიდან მასალების მოწოდება მიმდინარე ცხოვრების და მუშაობის ყოველი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან მოვლენებზე. ეს დააინტერესებს ადგილობრივ მასსას გაზეთით და მისი გავრცელებაც უფრო ადვილად მოხერხდება.

ეს ერთი დამკვრელი ამოცანათაგანია ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების. საერთოდ კი იდეოლოგიურ ფრონტს, პოლიტგანმანათლებელ და საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, ვინემ ეს დღემდე იყო. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ კულტურულად მომზადებული და პოლიტიკურად გათვითცნობიერებული მშრომელი მასსა შესძლებს ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის, კომუნიზმისათვის.

მორიგი ღალატი

ამ თვის პირველ რიცხვებში ქალაქ ვენაში მოწვეული იყო ტრანსპორტზე მომუშავეთა საერთაშორისო ფედერაციის ყრილობა.

საჭიროა ვიცოდეთ, რამ გამოიწვია ყრილობის მოწვევა, ნუ თუ ყრილობის მომწვევთ მართლა სურთ რადიკალურად გადაჭრან ტრანსპორტის პროლეტარიატის საჭირბოროტო საკითხები.

ამ კითხვაზე უტყუარ პასუხს გვაძლევენ წინა ყრილობის დადგენილებანი და ამ დადგენილებათა ცხოვრებაში რეალიზაცია.

მსგავსი ყრილობები ამ მოკლე წარსულში მოეწყო ამსტერდამში, ქრისტიანიაში, ჟენევაში და სხვ. მათზე გამოტანილ იქნა მეტად სიმპატიური და ტრანსპორტის პროლეტარიატისათვის სასარგებლო დადგენილებანი: კაპიტალის შემოტევაზე კონტრ-შეტევით შესაფერი პასუხის გაცემა, მოთხოვნა და ცხოვრებაში გატარება 8 საათის სამუშაო დღის, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა მრავალი. მაგრამ ყოველივე ესენი ნაკარნახევი იყო ტრანსპორტის პროლეტარიატის ქვედა ფენებისაგან და მათი გამყიდველი ლიდერებიც იძულებული იყვნენ აღენიშნათ ისინი ქაღალდზე, მაგრამ ბურჟუაზიის ერთგული აგენტები მე-2-რე ინტერნაციონალის ლიდერები ამ მოთხოვნილების ცხოვრებაში რეალიზაციისათვის არასოდეს არ სდგამდენ და დღესაც არ სდგამენ შესაფერ ნაბიჯებს, რომ არ შეაწუხონ მათი უფროსი ხაზეინები.

მაშ რამ გამოიწვია მორიგი ყრილობის მოწვევა, თუ მის დადგენილებას გასავალი არ ექნება? საქმე იმაშია, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ბურჟუაზიულ ქვეყნებში ზღვის აბობოქრებულ ტალღასავით გადაიარა მუშათა გაფიცვებმა, რომლებიც წალეკვით უქადის დრო მოჭმულ ბურჟუაზიულ წესწყობილებას.

ტრანსპორტს რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამაზე ლაპარაკი ზედმეტია და აი სწორედ ბურჟუაზია ცდილობს შეინარჩუნოს ის, ააცდინოს მას გაფიცვების ყოველგვარი შედეგი. პროლეტარიატის ქვედა ფენებიდან გაისმის პროტესტის და სხვადასხვა მოთხოვნილებათა ხმები, სტიქიურათ ხდება გაფიცვები, შეჯახება ბურჟუაზიის ერთგულ პოლიციასთან და სხვა.

ბურჟუაზიის ციტადელს საფრთხე მოელის და ამისათვის ის მიმართავს უკვე ჩვეულ საშუალებას—მუშათა კლასის შორის იუდა ისკარიოტელის ძებნას. ასეთი მოღალატენი საკმაოდ მოიძებნებიან მე 2 რე ინტერნაციონალის ბანაკში, რომელთაც ბურჟუაზია აყენებს თავიანთი შავ-ბნელი მიზნებისათვის.

სწორედ ასეთ მორიგ ღალატს წარმოადგენს ამ რამოდენიმე დღის წინეთ გახსნილი ქალაქ ვენაში ტრანსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ყრილობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყრილობა პროლეტარიატის ქვედა ფენების კარნახით გამოიტანს შესაფერ რეზოლიუციას, რომელზედაც მათი გამყიდველი ლიდერები სავსებით დაეთანხმებიან, მაგრამ ეს დადგენილება ვერაოდეს ვერ გახდება რეალიზაციის ღირსი. ამის დასამტკიცებელად საბუთები ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება, მაგალითად: როდესაც ინგლისის, საფრანგეთის გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის ტრანსპორტის მუშებს მომატების ნაცვლად დაუკლეს სამუშაო ქირა ტრანსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ყვითელი ლიდერები **ფიმმენი, ბიდეგარეი და შეფელი** დამშვიდებით უცქეროდენ ყოველივე ამას და არავითარ საშუალებას არ მიმართავდენ, არ მოუწოდებდენ ევროპის მუშათა კლასს ბრძოლისაკენ, რომ შესაფერი პასუხი გაეცათ ბურჟუაზიის ყოვლად მოუთმენელ თავგასულობისათვის. როდესაც დაიწყო ამერიკის სამთო მუშათა გაფიცვა, გადაწყვეტილი იყო არც ერთი ტონი ქვანახშირი არ მიეწოდებინათ ამერიკისათვის. მაგრამ ეს გადაწყვეტილება დარჩა მხოლოთ ქაღალდზე და ამერიკის ბურჟუაზიამ მიიღო ორი მილიონი ტონი ქვანახშირი, რამაც გაფიცვა შეასუსტა და ჩაშალა კიდეც. გაფიცვის ჩაშლას გრძნობდა მოქალაქე **ფიმმენი**, მაგრამ მისი მხრით არავითარ აქტივობას ადგილი არა ქონდა და ძალით თუ უნებლიეთ გახდა ბურჟუაზიის ერთგული ყმა.

ტ. ს. ფ. გამორიცხა თავის წრიდან ყველა ის მოწინავე მუშები, რომლებიც აქტივობის ნიშან-თვალს იჩენდენ, მაგ. საფრანგეთის, რუსეთის, ფინეთის, ბულგარეთის, გოლანდიის, ჩეხო-სლავაკიის, გერმანიის, რომლებმაც ყვითელი ტ. ს. ფ. წინააღმდეგ შექმნეს **პროპაგანდის ცენტრალური კომიტეტი**, რომელიც ისახავს პროლეტარიატისათვის მეტად საყურადღებო მიზნებს.

სრული იმედი გვაქვს, რომ პროპაგანდის ცენტრალური კომიტეტი მე 3 მე კომინტერნის დახმარებით მოკლე ხანში შესძლებს მთელი მსოფლიოს ტრანსპორტის პროლეტარიატის შეკავშირებას მუშათა კლასის საბედნიეროთ და ბურჟუაზიის და მისი კუდიანი ლაქიების სრულ დამარცხებას.

ვ. შუშანია.

ტყის დაცვა საქართველოში

საქართველოს ხე-ტყის სიმდიდრე სისტემატიურათ ნადგურდება და, ჩვენდა სამწუხაროდ, თითქოს მზადა ვართ რომ ამ ვითომცდა აუცილებელ ბოროტებას ადვილათ შევურიგდეთ. ასეთი მტაცებლური და უგუნური მოსპობა ტყეებისა, გარდა იმისა, რომ მას ამით ბევრი აკლდება, იწვევს სახალხო მეურნეობისათვის მთელ რიგს ცუდ შედეგებისას. მდინარე ცხენის წყალის სათავესთან სბროევაკის ქარხანამ 1913 და შემდეგ წლებში იმდენი ხეები გადაჭრა, რომ მდინარის რეჟიმი ცუდი მხრივ შეიცვალა და ამის შედეგი იყო ხშირი წყალდიდობა უკანასკნელ წლების განმავლობაში, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა მდინარის მარჯვენა მხრივ მცხოვრებლებს სოფ. კოლუბანის რაიონში. წყალდიდობის საწინააღმდეგო ბრძოლას დასჭირდა ბევრი ჯაფა და სათანადო ხარჯებიც, რათა აეშენებინათ წყლისაგან დასაცავი შენობები. აბასთუმანის ტყეების გადაჭრა, როგორც ამბობენ სპეციალისტები მეტეოროლოგიური დაკვირვების მიხედვით, შეცვლის იმ საგანგებო ჰავას, (უქარობა) რომლითაც აბასთუმანს, როგორც სანატორიუმს ჰლექიანებისათვის, ერთ ერთი პირველი ადგილი უჭირავს მთელ ევროპაში. საქონლის მოძოვება (განსაკუთრებით ცხვრის ჯოგებისა) ტყიან გორებზე სრულიად სპობს ახალგაზრდა ტყეებს და გააშიშვლა კიდეც კახეთში კავკასიის მთის სამხრეთ ნაწილის დაფინება. ეს არის უმთავრესი მიზეზი ხშირი ზვავებისა, რომლებიც ანადგურებენ და გადარეცხავენ ხოლმე ყანებსა და ვენახებს.

ხალხი, ჯერ კიდევ უძველესი დროიდანვე (საქართველოს მეფის ვახტანგის კანონების მიხედვით) შეჩვეულია იმას, რომ ჰაერი, წყალი და ტყე საზოგადო სამკვიდრებელია, მაგრამ კიდევ ვერ შეუგნიათ სავსებით ტყის დაცვის საჭიროება. ტყის ასე უკანონო მოჭრის წინააღმდეგ საბრძოლველად ადმინისტრატიული გზით საჭიროა იმდენი მცველი ყარაულები, რომლის შენახვა ძლიერ ძვირად უჯდება ეხლა ტყის მეურნეობას.

საქართველოს მთელ სივრცეზე ტყეები აღწევს 1,700,000 დეს. და გასულ წელს ტყის მცველი იყო სულ 1,200 კაცი. ეხლა კი, შტატების შემცირების შემდეგ დარჩა მხოლოდ 400. ასე რომ ერთ კაცს მოუწევს 5,000 დეს. დაცვა და ამას დავუმატოთ ისიც, რომ მას ხშირად ცხენიც არ ჰყავს. აქედან ცხადია, რომ ტყის ნამდვილ დაცვაზედაც ლაპარაკი ზედმეტია. ამისათვის მიწადმოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილებამ დაადგინა მიიღოს მთელი სისტემა ზომებისა, რომელთაც შეეძლოსთ გააუმჯობესოს ტყის დაცვა. თავიდანვე უარყოფილი იყო, როგორც ძნელად შესასრულებელი, ყველაზე უფრო რადიკალური გადაწყვეტილება—ტყის მცველთა შევსება ნორმალურ კომპლექტამდის. საქმე იმაშია, რომ ეხლა ტყის მეურნეობა და თვით მიწადმოქმედების კომისარიატი გადადის სამეურნეო ანგარიშზე; ასე რომ უნდა იყოს მოწყობილი თუ არა შემოსავლის პრინციპზე, ყოველ შემთხვევაში თვით [illegible].

ჯერ კიდევ, სანამ არ განვითარებულა ხე ტყის მსხვილი მრეწველობა უცხო ბაზარზე, ძნელია თვით იმ არსებულ შტატის, 400 კაცის, შენახვაც და იმის მომატებაზედაც ფიქრი ზედმეტი იქნება. ერთად-ერთი რაც შეიძლება გაკეთდეს: განხილულ იქნას ეხლანდელი განაწილება ტყის მცველთა სხვა და სხვა ადგილებში; მოხდეს მათი გადაჯგუფება ისე, რომ ზოგიერთ უფრო მნიშვნელოვან, სახალხო მეურნეობის მხრივ, ტყეებში გააძლიერონ დაცვა და შეამცირონ უფრო ნაკლებ ადგილებში. მეტ იმედებს სატყეო განყოფილება ამყარებს მეორე ზომაზე: მიანდოს ტყის დაცვა თვით ხალხს სხვა და სხვა კომისიების სახით ტყის ადმინისტრაციის კონტროლს ქვეშ. მეფის დროინდელმა პრაქტიკამ იცოდა ინსტიტუტი ამგვარი ადგილობრივი ტყის მცველებისა (полесовщики) შემჩნეული იყო, რომ ყველაზე უფრო მეტ ზიანს ტყის დაცვის საქმეს ეს ადგილობრივი მცველები აყენებდა. და არ გადაიქცევა ის ხალხის კომისიები, რომლის პროექტი უკვე დასახული, უფრო ცუდ გამოცემად იმ ზემოხსენებული ინსტიტუტისა? ყველაფერი, რასაკვირველია, დამოკიდებული იქნება იმ პირობებიდან, რომლებშიდაც იმას ჩააყენებენ.

ამაო იქნებოდა ეხლა იმედების დამყარება ამ კომისიების მიერ შეგნებულ დამოკიდებულებაზე ხე ტყის დაცვის საქმეში.

საჭიროა კიდევ ხანგრძლივი და დაჟინებითი მუშაობა, სანამ მიღწეული იქნებოდეს დადებითი მხარეები და კარგი შედეგი. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ როგორც კომისიების წევრებისათვის, აგრეთვე თვით მცხოვრებლებისათვის, სასარგებლო უნდა იქნეს ტყის დაცვა და მოჭრა მისი ხდებოდეს თანახმად დაწესებულ კანონების და არა უკანონოდ. იმ სოფლებისათვის რომელსაც რაიონში არ იქნება აღმოჩენილი ტყის მოჭრა, განზრახულია, გარდა შეღავათიან ნიხრით ხეების გაცემისა, მიეცესთ ზოგიერთი უპირატესობა:

მაგ. უფასოთ სარგებლობა საბალახოებით უფრო ბევრ საქონლისათვის, დამზადება თავისა ტყის მინდვრებზე და კიდევ რამოდენიმე პროცენტის გადადება ტყის გაყიდვით საერთო ამოგებულ ჯამიდან. გარდა ამისა, კომისიის წევრები იქნებიან ტყის მცველთა კანდიდატებათ. თუ დაჟინებით და მოხერხებით გატარდება ასეთი პოლიტიკა, მაშინ ხალხი ნათლად დაინახავს და ნამდვილად დარწმუნდება, რომ მისთვის უფრო გამოსადეგი იქნება ტყით კანონიერი სარგებლობა, ვიდრე უკანონო. ამას გარდა თვით მცხოვრებლების მიწვევა ტყის დასაცავად უფრო გაადვილებს შემდეგში გადაჯგუფებას ტყის მცველებისას. ისეთ რაიონებიდან, სადაც ადგილობრივი კომისიები თავის მდგომარეობის უმაღლეს საფეხურზე იქნებიან შესაძლებელი გახდება მცველების გადაყვანა უფრო ნაკლებად საიმედო ადგილებში და ამით შეივსება შტატიც. მაგრამ, განსაკუთრებით პირველ ხანებში, სანამ სავსებით არ აღმოფხვრილა დაწესებული ტრადიციები, რომ ტყის მოჭრა უკანონოთ უფრო გამოსადეგიაო, მანამდის სასტიკ ზომების უარყოფა შეუძლებელია. არსებული მდგომარეობა ამ მხრივ არანორმალურია. ტყის მოჭრის საქმებს არჩევენ სახალხო მოსამართლენი. ოქმის შედგენის დროიდან დაწყებული საქმის გარჩევამდე გადის თვეები და წლებიც. სახალხო მსაჯულები კი არ აჯარიმებენ, მხოლოდ ახდევინებენ დაწესებულ ფასს ასე უკანონოთ მოჭრილ ტყისათვის. რასაკვირველია, ხალხისათვის ამ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელია უკანონოთ ტყის გადაჭრა, იმიტომ, რომ კიდევაც ჩაუვარდეს მცველებს ხელში, იმას მოუწევს ფულის გადახდა არა წინდაწინ, როგორც ეს ხდება ხოლმე ხის მოჭრის ნებართვის ბარათის აღების დროს, არამედ დრო გამოშვებით, ამიტომ მიწ. მოქმ. კომის. სატყეო განყოფილებამ საჭიროთ სცნო დროებით, სანამ შეტანილი იქნება სათანადო მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში, ნება მიეცეთ ადგილობრივ აღმასკომებს დაატუსაღონ დამნაშავენი ადმინისტრატიული წესით 2 კვირით და ან 2 თვის ვადით. პროექტი სათანადო დეკრეტისა შეტანილია სახალხო კომ. საბჭოში. უკანასკნელ ზომად სატყეო განყოფილება სთვლის მიწის რეფორმის გატარებას ტყეების რაიონში. ეხლა ხალხი, რომ გააფართოვოს სახნავ-სათესი ადგილები, სჭრის და ანადგურებს ტყეს, არავითარ ანგარიშს არ უწევს ტყის მეურნეობის გეგმებს. მიწის რეფორმების გატარება იქნება ერთ-ერთი რადიკალური ზომათაგანი ამ მოვლენის წინააღმდეგ, რომელიც დიდ ზარალს აყენებს ტყეებს. ამ რიგათ, საკითხი ტყის დაცვის შესახებ გადაიჭრება შეთანხმებული გატარებით იმ მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც ცალ-ცალკე არის მხოლოდ პოლიატივი, მაგრამ ყველამ ერთად კი შეიძლება მოგვცეს სასურველი ეფექტი.

ა. ესხენი

ჟურნალ-გაზეთებიდან

მთელ ინგლისში იმართება განსაკუთრებული მიტინგები, კრებები და მოხსენებები ინგლისის მთავრობის აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ, რომელზედაც დებულობენ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლიუციებს, რადგანაც მას შეუძლია ინგლისი ჩაითრიოს ახალ ომში. მიტინგებს სხვათა შორის ის მნიშვნელობაც აქვს, რომ მით ინგლისის მუშათა პარტია თითქმის პირველათ გამოდის გაბედულათ საგარეო პოლიტიკის საკითხში, უპირდაპირებს რა მთავრობის პოლიტიკას თავის საკუთარს, რომელსაც ის იცავს მთელი პოლიტიკური ბრძოლის საშუალებებით, რომელიც კი მის ხელთ არის. აღსანიშნავია, რომ მუშათა პარტიის მიერ მოწყობილ მიტინგებზე გამოდიან არა მარტო მისი ლიდერები და პროფესიონალური მოძრაობის ხელმძღვანელები, არამედ ბურჟუაზიულ აზროვნების წრის წარმომადგენლებიც, რომლებიც არ ეთანხმებიან, ლოიდ ჯორჯის აღმოსავლეთის პოლიტიკას, მაგრამ თავის წინააღმდეგობაში მასთან ვერ პოულობენ საკმაო დახმარებას ბურჟუაზიული პარტიებიდან.

სამაგიეროდ მათი გამოსვლელები იწვევენ დიდ თანაგრძნობას არა მარტო მუშაობაში, აგრეთვე ინგლისის ამომრჩეველთა ფართო წრეებშიც, რომლებსაც არაფრისთვის არ უნდათ დასთანხმდენ ახალ დიდ ხარჯების (20 მილ. გირვ.) აუცილებლობაზე სამხედრო ექსპედიციისთვის სტამბოლის და სრუტეების დასაცავათ. ისინი ფიქრობენ, რომ აღმოსავლეთის კონფლიქტი გადაჭრილ უნდა იქნეს დიპლომატიური გზით.

„ეს, როგორც ამბობს „დეილ ნიუსი“ გადამხდელ წრეების მისწრაფებათა გამომხატველი, დაამტკიცა დიპლომატიურმა ზავმა, რომელიც შეკრა ლორდ კერზონმა პარიზში. მაშ რათ გრძელდება სამხედრო მზადებანი, კითხულობს გაზეთი. ალბათ მხოლოთ იმიტომ, რომ პრესტიჟი დაცემული არ იქნეს. ინგლისის მთავრობას არაფრისთვის არ უნდა აღიაროს თავისი შეცდომები: „დეილ ნიუსი“ გამოსთქვამს რა საშუალო ინგლისელის მოთხოვნილებებს აღმოსავლეთის საკითხში ამბობს: ახალი ჯარების გაგზავნას კი არ თხოულობს ინგლისი, არამედ ძველი, აღმოსავლეთში მყოფთა დაბრუნებას“.

ავსტრიის პრობლემა შეიძლება გახდეს ცენტრალურ ევროპაში გაუთავებელი კონფლიქტების წყაროდ.

ჩეხოსლოვაკურმა კომუნისტურმა პარტიამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიდაც პარტიის განკარგულებაში მყოფ ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ემზადება თანდათან გერმანულ ავსტრიის ფორმალურ ოკუპაციისთვის, ამასთან ერთად როგორც ამტკიცებენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები, ეს გეგმები პოულობენ დახმარებას საფრანგეთის მთავრობისაგან. ჩეხის მთავრობა ისე შორს წავიდა თავის გეგმის მომზადებაში, რომ ჩეხის ჯარი შეიძლება სრულებით მზათ იქნეს ბრძოლისთვის ერთ ღამის განმავლობაში ავსტრიის დასაპყრობლად.

ამის გამო, კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ მოწოდებაში, რომელსაც მთავრობამ კონფისკაცია უყო, აქცევს ყურადღებას არა მარტო ჩეხის მშრომელი მასსისას, არამედ მსოფლიო პროლეტარიატის იმ განსაცდელზე, რომელიც მოელის ცენტრალურ ევროპას ჩეხის მთავრობის მტაცებლური გეგმის გამო.

საუბარი ამხ. ჩიჩერინთან

პოლონეთ რუსეთის ურთიერთობა.

პოლონეთის პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს ვარშავაში, ჩიჩერინმა სხვათა შორის სთქვა: „პოლონეთ რუსეთის შორის თანდათანობით შექმნილი მეგობრული ურთიერთობა სასურველია კიდევ უფრო გაღრმავდეს სასურველია გაფართოვდეს პოლონეთ რუსეთის შორის ეკონომიური კავშირი, რომელიც კიდევ უფრო გამტკიცდება რუსეთის შინაურნ სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცებასთან ერთად. რუსეთის ეკონომიური გართულებანი ყოველთვის არა სასურველ გავლენას ახდენდა პოლონეთთან სავაჭრო ურთიერთობაზე. თავიანთ ეკონომიურ ცხოვრების განმტკიცებაში ორივე მხარე ერთნაირად არიან დაინტერესებული, იმ არა სასურველ ზეგავლენის გამო, რომელსაც ახდენდა ერთ ხანას საერთაშორისო კომბინაციები პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობაზე.

აღმოსავლეთის კრიზისი იმ შემთხვევაში იქონიებს არასასურველ გავლენას აღმოსავლეთ ევროპაზე, თუ რუმინია აქტიურად გამოვა ინგლისთან და მცირე ანტანტასთან ოსმალეთის წინააღმდეგ და პოლონეთის მთავრობას მმართებს ამ საკითხში შემარიგებელი პოლიტიკა აწარმოვოს. **საბჭოთა რუსეთის მთელი ძალ-ღონე მიმართულია შინაურ მეურნეობის აღდგენისაკენ** და ჩვენ ვესალმებით პოლონეთის მისწრაფებას რუსეთთან საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებისადმი.

იმ დიადი ამოცანების შესრულებისათვის დაწყებული მუშაობა, რომელიც დააყენა რიგის ხელშეკრულებამ, თანდათანობით მიმდინარეობს. მე უნდა აღვნიშნო სხვათა შორის, რომ, უკრაინის წარმომადგენლის შუმსკისათვის მიწერილი პოლონეთის წინააღმდეგ მიმართული სიტყვა— შეთხზული ცილისწამებაა. ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან აცილება, რუსეთში შინაგანი დამოკიდებულების საერთო კონსოლიდაცია, ეჭვს გარეშეა, სასურველ გავლენას მოახდენს რუსეთ პოლონეთის ურთიერთობაზე. პოლონეთის მთავრობამ თავის მხრივ, რა თქმა უნდა იცის, რომ ეს შეადგენს არა მარტო რუსეთის, არამედ პოლონეთის ინტერესსაც.

საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა. დამოკიდებულება ოსმალეთთან.

საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა ემსახურება ორ მიზანს: 1) თავის საზღვრების უზრუნველყოფა და ამისათვის ყველა სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება და 2) რუსეთის მრეწველობის განვითარება და სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგება, და აგრეთვე რუსეთის თანამშრომლობა საერთაშორისო დამოკიდებულების კონსოლიდაციის საქმეში.

რუსეთი მეგობრული ხელშეკრულებით არის დაკავშირებული ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობასთან. იგი თვალყურს ადევნებს ოსმალეთის ხალხის გმირულ ბრძოლას თავისი სრული განთავისუფლებისათვის უცხოეთის ჩაგვრა-ძალადატანებისაგან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლო მომავალში ოსმალეთი შესძლებს ოსმალოების მიერ დასახლებულ ყველა ოლქების გაერთიანებას, ოსმალეთის ხალხის ნაციონალურ ხელშეკრულების თანახმად.

1922 წ. 16 მარტს მოსკოვში დადებულ რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებაში არის დადგენილება იმის შესახებ, რომ სრუტეებში მიმოსვლის თავისუფლება უნდა იქნეს გატარებული შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან შემდგარ კომისიის მიერ. ეს უზრუნველყოფს რუსეთის ეკონომიურ ინტერესების სრულ დაკმაყოფილებას, რისთვისაც აუცილებელია სრუტეებში სავაჭრო მიმოსვლის თავისუფლება.

უცხოეთის კაპიტალის მოხმობა.

უცხოეთის კაპიტალის მოხმობის შესახებ ამხ. ჩიჩერინმა გაზ. „ნეიერტაინცის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა: „საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა ყოველთვის მიზნათ ისახავდა სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიურ დაახლოვებას და რუსეთში უცხოეთის კაპიტალის მოხმობას საბჭოთა მთავრობის კონტროლის ქვეშ.

რუსეთის მთავრობა ყოველთვის, როცა იგი სამშვიდობო წინადადებით, მუდამ აღნიშნავდა თავის მისრაფებას სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობისაკენ. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ფართო გზას უხსნის კერძო ინიციატივას რუსეთში და ამით კი ადვილდება იმ ამოცანების მიღწევა, რომელსაც საბჭოთა რუსეთი მუდამ ისახავდა მიზნათ.

რუსეთის მთავრობამ მიმართა ამერიკის მთავრობას თხოვნით, წარმოედგინა რაიმე ახალი წინადადება, რომელიც ხელს შეუწყობდა რუსეთ-ამერიკის ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენას და ამავე დროს არ ჩააყენებდა რუსეთს დამამცირებელ მორჩილობაში, მაგრამ ამდენ ხანს პასუხი არ მიგვიღია.

ახლო აღმოსავლეთის საკითხი.

მოსკოვსა და ანგორას შორის მომხდარ მოლაპარაკების შესახებ მე არა მაქვს საშუალება გამოვსთქვა ჩემი აზრი. ჩვენ მხარს დაუჭერთ საბერძნეთში ისეთი წესრიგის შექმნას, რომელიც საბერძნეთს არ გადააქცევს იმპერიალისტურ პოლიტიკის იარაღად. საფრანგეთი უფრო სამართლიანათ ეპყრობა ოსმალეთის ხალხის კანონიერ მოთხოვნილებას, ვიდრე ინგლისი. მაგრამ ერთად ერთი მეგობარი ოსმალეთის ხალხისა, არის საბჭოთა რუსეთი.

შეიარაღების შემცირება

ერთა ლიგა ვერ მიაღწევს არსებით შედეგებს საერთო განიარაღების საკითხში თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ ერთა ლიგაში არ შედიან: რუსეთი, გერმანია და შეერთებული შტატები.

საერთო შეიარაღების [illegible]რების კონფერენციის წარმა[illegible] დამოკიდებულია ამ ჟამად უპირველეს ყოვლისა პოლონეთზე. პოლონეთსა და რუმინიის შორის მომხდარ შეთანხმებას არ შეეძლო საგონებელში არ ჩაეგდო საბჭოთა რუსეთი. ამ ჟამად კი ეს საკითხი შეიძლება გამწვავდეს რუმინიის ინგლისთან და მცირე ანტანტასთან ერთად გამოსვლით ოსმალეთის წინააღმდეგ. ერთა ლიგაზე უკეთ ცალკე სახელმწიფოების უბრალო მოლაპარაკება უფრო ნაყოფიერი იქნება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საკითხში. რუსეთის მთავრობას თავისი აზრი არ გამოუთქვამს პალესტინის საკითხის შესახებ. საერთოდ კი იგი მტკიცედ სდგას ერთა თვით გამორკვევის ნიადაგზე და ეს შეხედულება აგრეთვე ვრცელდება პალესტინის მუსლიმან მცხოვრებლებზედაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

ახლო აღმოსავლეთის ამბები

კონსტანტინოპოლში.

ჰანოვერი. 17 ოქტ. რეიტერის სააგენტოს ცნობით კონსტანტინოპოლში ჩავიდა ლონდონიდან მნიშვნელოვანი დიპლომატიური დავალებით გენერალი ანდერსონი.

ნეიტრალური ზონის დაცლა.

ჰანოვერი. 17 ოქტ. კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალოებმა დასცალეს ნეიტრალური ზონა იზმიდთან და ჩანაკთან.

ეგვიპტე და საზავო კონფერენცია.

ჰანოვერი. 17 ოქტ. გაზ. „ტაიმსი“ იტყობინება, რომ ეგვიპტეს მთავრობა ოფიციალურად მოითხოვს დაშვებას ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციაზე.

ბერძნების ევაკუაცია.

ჰანოვერი. ბერძნებმა დაიწყეს ადრიანოპოლის ევაკუაცია. ევაკუაციის საერთო გეგმის განხორციელების დროს მრავალი გაუთვალისწინებელი დაბრკოლებანი ელობებათ მათ წინ.

ფრანკლინ ბუიონის განცხადება.

ბორდო, 17 ოქტ. ორშაბათ დილით პარიზში დაბრუნებული ფრანკლინ ბუიონი მიიღო პუანკარემ. ფრანკლინ ბუიონმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ოსმალეთის შეტევის შეჩერება მოხდა ქემალ ფაშას გონივრული მოქმედების მეოხებით, რომელსაც სურდა დაენახვებია ევროპისათვის მშვიდობიანობის სურვილი, და აღიარა ის დათმობანი, რომელიც ოსმალებმა მიიღეს საფრანგეთის ჩარევის მეოხებით. ფრანკლინ ბუიონი ამტკიცებს, რომ ყველა ძალდატანებითმა ზომებმა, რომელიც მიმართული იყო ოსმალეთის წინსვლის შეჩერებისაკენ, გამოიწვია დროებითი ზავის ჩამოგდების გაჭიანურება.

მონტევიუ მუდანიის შეთანხმების შესახებ.

ბორდო. 17 ოქტ. ინდოეთის საქმეთა ყოფილმა ვიცე სეკრეტარმა მოათავსა გაზ. „ტაიმსში“ წერილი, რომელშიაც გამოსთქვამს თავის კმაყოფილებას მუდანიის შეთანხმებით.

ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ.

ბორდო. 17. ოქტ. ლოიდ ჯორჯის სიტყვას მანჩესტერში მთელი პრესა უკმაყოფილოდ შეხვდა. გაზ. „ტაიმსიც“ არ არის კმაყოფილი პრემიერის სიტყვით.

ნეიტრალურ ზონაში და ფრაკიაში.

ნაუენი. 17 ოქტ. კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის ჯარები გაყვანილია იზმიდის და ჩანაკის რაიონიდან. ამავე დროს ბერძნები სცლიან ადრიანოპოლს და ევაკუაციის დროს მათ გადასწვეს რამდენიმე სოფელი ქალაქის მიდამოებში.

ბერძნების განზრახვა.

ნაუენი. 17 ოქტ. გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობით, ბერძნებმა გადასწყვიტეს მოახდინონ თუ არა ადრიანოპოლის ევაკუაციას, იერიშებ მიიტანონ ქალაქის წინააღმდეგ.

ინგლისი და ოსმალეთი

მოსკოვი. 17 ოქტ. ანგორიდან იტყობინებიან: გარრიგტონმა ოფიციალურად გამოსთქვა სურვილი ოსმალეთთან ნორმალური დიპლომატიურ ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ოსმალეთი და ანტანტა

მოსკოვი. 17 ოქტ. ანგორის პრესა ილაშქრებს საფრანგეთისა და იტალიის წინააღმდეგ, რომლებმაც არ შეასრულეს დაპირება კონფერენციაზე ოსმალეთისათვის მხარის დაჭერის შესახებ. პრესა ემუქრება სახელმწიფოებს, რომელთაც სრუტეები დაიჭირეს, ოსმალეთის ჯარის სპარსეთის გუბისაკენ გალაშქრებით.

ავსტერლიცი ლოიდ ჯორჯისათვის

ლონდონი. „მორნინგ პოსტი“ ილაშქრებს ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთის საკითხში მისი პოლიტიკის გამო, რომელმაც გამოიწვია ინგლისის იზოლიაცია, ამბობს, რომ ლოიდ ჯორჯმა იპოვა ანატოლიაში თავისი ავსტერლიცი. „ლოიდ ჯორჯს“, აცხადებს გაზეთი, დაღუპვის გზაზე მიჰყავს იმპერია. მას, ვინც სდგას მმართველობის სათავეში, უნდა ქონდეს მართვის უნარი და უნდა სარგებლობდეს ნდობით. ჩვენ პრემიერს არ აქვს პირველი და არ სარგებლობს მეორეთი. დიდი ხანია დროა ჩამოერთვას მას მიცემული რწმუნებანი.

ტრაური მოხსნილია.

პარიზი. „ტანი“ იტყობინება, რომ ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გამოაცხადა ეროვნული ტრაური მოხსნილად. თავმჯდომარის ტრიბუნას, რომელიც უკანასკნელ დრომდე შავი მატერიით იყო შემოკრული, ეხლა გადააკრეს მწვანე ფერის მაუდი, რომელიც ითვლება გამარჯვების ფერად.

არავითარი საიდუმლო ხელშეკრულებანი.

რომი. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის წარმომადგენელი რომში ოფიციალურად უარყოფს ცნობას საფრანგეთთან არსებულ საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ და იარაღით და სამხედრო მასალით დახმარების შესახებ, რომელიც საფრანგეთმა ქემალისტებს გაუწია.

საქმე გათავებულია.

ლონდონი. „მორნინგ პოსტი“, იხილავს რა ახლო-აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას, ამბობს: „დიდი ბრიტანეთი იძულებული იყო თავისი ადგილი დაეთმო სხვებისთვის კავკასიაში და სპარსეთში. თუ კი იგი აიძულეს დატოვოს სრუტეები, მისი ავტორიტეტი უნდა დაეცეს სტამბოლში, მაშინ მთელი აღმოსავლეთი დარწმუნებული იქნება, რომ ბრიტანეთის იმპერიის საქმე გათავებულია. ასეთი შესაძლებლობის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ მთლიანი მოკავშირეთა ფრონტის შექმნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შესაძლებელია ახალი ომის აჩრდილის წინაშე დავდგეთ. ლოიდ ჯორჯმა დაივიწყა ჩვენი ინტერესები და მოკავშირეთა რჩევის წინააღმდეგ, უარყო ოსმალეთის ნაციონალისტები და ანგორა და მხარი დაუჭირა საბერძნეთს. ამის მიზეზით ბერძნებმა საშინელი ავანტიურა ჩაიდინეს.

ბერლინში მომხდარი შეტაკებების გამო.

ჰანოვერი. 16 ოქტ. მთელი ბერლინის პრესა უარყოფით უყურებს ნაციონალისტებსა და კომუნისტებს შორის ბერლინის ქუჩებში მომხდარ შეტაკებას.

სიმონსი—სასამართლოს თავმჯდომარე.

ჰანოვერი. 16 ოქტ. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლეიპციგში სახელმწიფო სასამართლოს პოსტზე დანიშნა ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი სიმონსი.

სმირნაში.

მოსკოვი. 17 ოქტ. სმირნაში ქალაქის განთავისუფლების გამო შესდგა საზეიმო დღესასწაული. ქალაქის მოედანზე გაიმართა მიტინგი 50.000 კაცის მონაწილეობით.

მოკავშირეების ნოტა ანგორას.

მოსკოვი. 17 ოქტ. მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა კონსტანტინოპოლში მიმართეს ანგორის საგარეო საქმეთა კომისარს ნოტით, რომელშიაც სთხოვენ ოსმალეთის მთავრობას გამოიჩინონ ლმობიერება ტყვეთ ჩაგდებულ ანატოლიის მოქალაქეთა მიმართ, რომელნიც მსახურებდნენ საბერძნეთის არმიაში.

გაზეთი „ენი გიუნი“ სასტიკათ ილაშქრებს ამ ნოტის წინააღმდეგ და უყურებს მას, როგორც ანგორის საშინაო საქმეში ჩარევას. „მოკავშირეები, ამბობს გაზეთი, ისე, იქცევიან, როგორც გამარჯვებულნი. ნოტის კილო ისეთივეა, როგორსაც ანტანტა ხმარობს უძლურ სახელმწიფოებთან ურთი-ერთობაში.

ანგორის პრესა ანტანტის შესახებ.

მოსკოვი. 17 ოქტ. ანგორის პრესა სასტიკათ ილაშქრებს საფრანგეთის და იტალიის წინააღმდეგ, რომლებმაც არ შეასრულეს დაპირება ოსმალეთისათვის მხარის დაჭერის შესახებ. პრესა მიუთითებს, რომ მოკავშირეები საზავო კონფერენციაზე მოითხოვენ კომპენსაციას ფრაკიის განთავისუფლებისათვის: კომპენსაცია არის კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის გამარჯვებები საფრანგეთის ხელში შეიქნა ანგარიშის გასწორების იარაღათ, რეპარაციების საკითხებში ინგლისისათვის დათმობის სამაგიეროთ.

ლტოლვილები.

მოსკოვი. 17 ოქტ „დეილი ტელეგრაფი“-ს გამოანგარიშებით მცირე აზიის და ფრაკიის ბერძნების და სომხების ლტოლვილთა საერთო რიცხვი უდრის 1 მილიონს. საბერძნეთში ჩავიდა უკვე 500.000 კაცი, დანარჩენები ჯერ გზაში არიან. საბერძნეთის პარლამენტმა მიმართა ამერიკას თხოვნით ლტოლვილთათვის დახმარების გაწევის შესახებ. რუმინეთმა და ბოლგარიამ ოფიციალურად განაცხადეს უარი ლტოლვილების მიღებაში.

ქემალ ფაშის პატივისცემა.

ანგორა. ქემალ ფაშა ანგორისა და სმირნის მცხოვრებთა მიერ არჩეულ იქნა ამ ქალაქების საპატიო მოქალაქეთ. სმირნაში ჩამოვიდა საფრანგეთის სკულპტორი სერიდანი, რომელსაც დავალებული აქვს ქემალ ფაშისათვის სმირნაში ძეგლის აგება.

ლოიდ ჯორჯის სიტყვა

ბორდო. 17 ოქტომ. ლონდონიდან ანგორაში გამგზავრებულმა რეშად-ბეის „ტაიმსის“ წარმომადგენელთან საუბარში გამოსთქვა თავისი მწუხარება იმის გამო, რომ ლოიდ ჯორჯის სიტყვაში არ ყოფილა მშვიდობიანი და შემთანხმებელი ტონი.

ნაუენი. 17 ოქტ. ინგლისის გაზეთების უმრავლესობას არ მოსწონს ლოიდ ჯორჯის მიერ მანჩესტერში წარმოთქმული სიტყვა, საფრანგეთის პრესა სასტიკათ ილაშქრებს ინგლისის პრემიერის წინააღმდეგ და ყველა გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მისი სიტყვა ნათლად ჰყოფს, რომ მას არ სურს გადადგომა.

კროიდონი. 17 ოქტ. ლონდონის დიპლომატიური წრეები ფიქრობენ, რომ ლოიდ ჯორჯის სიტყვამ გამოაშკარავა, რომ ინგლისს კი არ დაუტოვებია მოკავშირეები, არამედ მოკავშირეებმა დასტოვეს ინგლისი.

ფრაკიაში

კროიდონი. 17 ოქტომ. ბერძნების მიერ აღმოსავლეთ ფრაკიის ევაკუაცია დაიწყო. დაცლილ ტერიტორიას იჭერს ინგლისის ჯარები. უკანასკნელ ცნობების თანახმად საბერძნეთში მოელიან 600 ათას ლტოლვილს.

გენ. გარრიგტონის განცხადება

კროიდონი. 17 ოქტ. გენ. გარრიგტონმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს საზავო კონფერენციის მუშაობის წარმატებით დამთავრებისა.

შეიარაღების შემცირება.

ჰანოვერი. 16 ოქტომბ. „ნიუ-იორკ გერალდ“ ამტკიცებს, რომ საფრანგეთი აგვიანებს ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილებას საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ ცხოვრებაში გატარებას და მით ანნულიაციას უშობა ამ დადგენილებას.

ერიოს განცხადება.

ჰანოვერი. 17 ოქტომბერი. 15 ოქტ. ერიო ჩავიდა რუსეთიდან სტრასბურგში და „პტი ჟურნალის“ კორესპოდენტს განუცხადა, რომ მისი მოგზაურობის პრაქტიკული შედეგი არის ის გარემოება, რომ საფრანგეთმა დაუყონებლივ უნდა გაგზავნოს რუსეთში სასოფლო მეურნეობის და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი. ასეთივე დელეგაცია უნდა გამოგზავნოს რუსეთმა პარიზში.

სპარსეთი

მოსკოვი, 17 ოქტ. თეირანში შესდგა გრანდიოზული დემონსტრაცია ინგლისელების წინააღმდეგ.

შრომის საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი. 17 ოქტ 18 ოქტომბერს ჟენევაში იხსნება შრომის საერთაშორისო 4 კონფერენცია, რომელიც მოწვეულია ერთა ლიგის მიერ. ერთა ლიგაზე მოწვეულია 53 სახელმწიფო.

ჩეხო-სლოვაკია

ახალი კაბინეტი.

მოსკოვი. 15 ოქტ. ჩეხო-სლოვაკიაში შესდგა ახალი კაბინეტი—პრემიერიად დანიშნულია შვეღლა და გარეშე საქმეთა მინისტრად ბენეში. ბენეშის მინისტრის თანამდებობაზე დატოვება მოწმობს იმას, რომ ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკა ძველი რჩება.

ბულგარეთი

ბულგარეთის სამხედრო ბიუჯეტი.

პარიზი. 16 ოქტ. ლონდონში დადის ხმები, რომ ელჩების კონფერენციამ აცნობა ბულგარეთს, რომ მისი სამხედრო ბიუჯეტი არ ეთანხმება სპაში დადებულ ხელშეკრულებას.

ამხ. ლენინის წერილი ბაქოელ ამხანაგებისადმი

ბაქო. 16 ოქტომბერი. მოსკოვიდან ჩამოსულმა „აზნავთის“ უფროსმა ამხ. სერებროვსკიმ ჩამოიტანა ამხ. ლენინის შემდეგი წერილი ბაქოელ ამხანაგებისადმი:

ძვირფასო ამხანაგებო!

ეს არის ეხლა მოვისმინე ამხ. სერებროვსკის მოკლე მოხსენება აზნევთის მდგომარეობის შესახებ. ამ მდგომარეობაში ძალიან ბევრი სიძნელეა.

გიგზავნით რა მხურვალე სალამს, გთხოვთ მახლობელ დროში როგორმე გაუძლოთ ყოველგვარ დაბრკოლებებს. პირველ ხანებში ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება. შემდეგ უფრო ადვილად წავა საქმე. ჩვენ უნდა მივაღწიოთ გამარჯვებას და კიდეც მივაღწევთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს იგი.

სალამი.

ვ. ულიანოვ-ლენინი.

რეზოლიუცია ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების შესახებ.

(ბაქოში მოწვეულ პარტიული კონფერენციაზე).

ბაქო. 16 ოქტ. 15 ოქტომბერს პარტიულ კონფერენციის პლენუმის სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ. რეზოლიუციაში კონფერენცია ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ აღებულ გზას სწორად სთვლის,—განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება რესპუბლიკების გაერთიანების. მომენტის მნიშვნელოვან ამოცანებს შეადგენს: საკავშირო საბჭოს ფუნქციების გაფართოვება და სამეურნეო კომისარიატის გაერთიანება.

საგარეო ამბები

გერმანია

გერმანიის პრეზიდენტის არჩევნები.

ჰანოვერი. 16 ოქტ. რეიხს-კანცლერის გერმანიის და ბავარიის სახალხო პარტიების ლიდერებთან მოლაპარაკების დროს პრეზიდენტის არჩევნებისათვის ვადის დაწესების შესახებ, გამოირკვა, რომ არასოციალისტურ პარტიებს, წინდაწინ მიღებულ გადაწყვეტილების თანახმად, არა დროულად მიაჩნიათ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის გამო პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება 3 დეკემბერს.

სოც. დემ. და საპრეზიდენტო არჩევნები.

ნაუენი. 17. ოქტ. ბერლინის ცნობით, სოციალ-დემოკრატებმა არ მიიღეს წინადადება კონსტიტუციის შეცვლის შესახებ და აგრეთვე წინადადება ებერტის დროებით რწმუნებულების მუდმივ რწმუნებულებაზე შეცვლის შესახებ.

ინგლისი

ლოიდ-ჯორჯის სიტყვის გამო.

პარიზი. 16 ოქტ. ლოიდ-ჯორჯის სიტყვის შემდეგ ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, რომ არჩევნები ინგლისში არც ისე ადრე მოხდება. კლაინსი სასტიკად გმობს პრემიერის სიტყვას და ბრალსა სდებს, რომ მან დიდი ბრიტანეთის პრესტიჟი დასცა.

ვალების გადახდა.

ჰანოვერი. 17 ოქტ. ინგლისმა 15 ოქტომბერს გენერალურ საფონდო ბანკის ფოლილურ განყოფილებას გადასცა 50 მილ. დოლარი ამერიკის სამხედრო ვალების ანგარიშში.

პოლონეთი

პოლონეთი და შავი ზღვა.

მოსკოვი. 15 ოქტ. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ნარუტოვიჩმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ პოლონეთის ინტერესები დაკავშირებულია შავ ზღვასთან, ვინაიდან რუმინია აძლევს პოლონეთს გამოსავალს შავ ზღვაში გალიციის საშვალებით. პოლონეთი სრუტეების თავისუფლებისათვის ყოველივე ზომებს მიმართავს, რათა თავიდან იქნეს აშორებული ახალი სისხლის ღვრა. პოლონეთი მზად უნდა იქნეს თავის მოკავშირეების დასაცავად.

პოლონეთ-სერბიის ხელშეკრულება.

ბორდო, 17 ოქტ. კამასკაში დაიწყო მოლაპარაკება პოლონეთსა და სერბიის შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ვარშავის ციხეებში.

მოსკოვი, 17 ოქტ. ვარშავის პოლიტიკურ ციხეში პოლიციამ და ციხის ადმინისტრაციამ სცემეს დაპატიმრებულთ, რომელთაც პროტესტი განაცხადეს დაპატიმრებულ ამხანაგების კარცერში ჩამწყვდევის გამო.

საფრანგეთი

კომუნისტების ყრილობა.

ჰანოვერი. 16 ოქტ. პარიზში 15 ოქტომბერს გაიხსნა მისელ კაშენის თავმჯდომარეობით საფრანგეთის კომუნისტების ყრილობა.

წითელი რესპუბლიკები

რუსეთი

რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცირკულიარი.

მოსკოვი. 17 ოქტომბერი. (დასაწყისი არ არის მიღებული)... მთელი ქვეყნის პროლეტარიატო გააფართოვეთ (გამოტოვებულია).. წინააღმდეგ, მეფის იმპერია, და კერენსკის რესპუბლიკა კატორღას წარმოადგენდა ჩაგრულ ერებისათვის. საბჭოთა რესპუბლიკამ მთელ მსოფლიოში პირველმა გაანთავისუფლა ეს ერები და საფუძველი ჩაუყარა კოლონიალურ ერების განთავისუფლებას კაპიტალის უღლისაგან. მუშა კომისარმა დაამარცხა ბურჟუაზია სამხედრო ფრონტზე, მუშა-დირექტორი გაიმარჯვებს სამეურნეო ფრონტზე. 5 წელიწადია რაც არსებობს საბჭოთა რესპუბლიკა, 5 წელიწადია რაც არსებობს მუშების და გლეხების ძმური კავშირი. გაუმარჯოს ქალაქის და სოფლის მშრომელთა ერთიან ფრონტს. გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტურ პარტიას—მსოფლიოში პირველ პროლეტარულ რევოლიუციის წინამძღოლს. მშრომელნო და გლეხებო, მუშებთან კავშირმა მოგცათ თქვენ მიწა, მუშებთან კავშირი დაგეხმარებათ თქვენ მეურნეობის განმტკიცების და გაფართოვების საქმეში. მუშა-ქალებო და გლეხ-ქალებო დაზგასთან მინდორში დანგრევასთან ბრძოლით ჩვენ შევინარჩუნებთ ოქტომბრის მონაპოვარს. მენშევიკები და ესერები ეხმარებიან ბურჟუაზიას კაპიტალის ბატონობის აღსადგენად, განდევნეთ შორს კაპიტალის ეს მსახურები, ამით თქვენ დააჩქარებთ პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებას.

რ. რუს. კომპ. ცენ. კომიტეტ. მდივანი **მოლოტოვი.**

რუსეთ-ავსტრიის სინდიკატი.

მოსკოვი. 17 ოქტ ვენაში შესდგა ავსტრია-რუსეთის სინდიკატი ჩრდილო-დასავლეთ ოლქის—ფაბრიკების აღსადგენათ. და სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ხელის შესაწყობად.

ვრანგელის მიმდევრები.

მოსკოვი. 17 ოქტომბერი. გარეშე საქმეთა სახ. კომისარის და ნანსენის შორის მომხდარ შეთანხმების გამო ვრანგელის მიმდევართა რეევაკუაციის შესახებ, ნოვოროსისკში დაიწყო მზადება პირველი პარტიის მისაღებად. სამშობლოში ბრუნდება 20,000 ვრანგელოველი თავიანთი ოჯახებითურთ.

ბრძოლა ლოთობასთან.

მოსკოვი. 17 ოქტ. კურსკის გუბერნიაში გაძლიერდა ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ. ხდება გაჩხრეკა. სპირტით ვაჭრობის გამო ოთხი რესტორანი დაიხურა, დასასჯელებულია 13 არაყის მხდელი. ლოთებს იჭერენ და მათ სახელებს აქვეყნებენ გაზეთებში.

გადასახადები უკრაინაში.

მოსკოვი. 17 ოქტ. უკრაინის საგადასახადო აპარატი სწრაფად მუშაობს. ხარკოვში იწყობა საგადასახადო მუშაკების ცენტრალური კურსები. სასამართლოს ორგანოებს ევალებათ ბრძოლა საგადასახადო კანონმდებლობის დამრღვევთა წინააღმდეგ, რადგანაც ამ უკანასკნელ დროში სოფლებში ბაზრობის ორგანიზაცია ხშირი მოვლენაა და თანაც შინა მრეწველობა ვითარდება საგადასახადო მუშაობაც სოფლებში იზრდება.

ხარკოვის სასოფლო მეურნეობის გამოფენა.

მოსკოვი. 17 ოქტ. ხარკოვის საგუბერნიო სასოფლო მეურნეობის გამოფენის ექსპერტები მოწმობენ უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დიდ ღვაწლს. ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში შერჩეულ ქართოფილის მოსავალი უდრის 1000 ფ. დესეტინიდან. ცხრილი ამოწმებს საბჭოთა მეურნეობათა ზრდას.

დახმარება მუშათა კლუბს.

მოსკოვი. 17 ოქტომბ. ნიჟეგოროდის საგუბერნიო კავშირმა მუშათა კლუბს გადასცა ხუთი მილიარდი მანეთი.

სრულიად ყირგიზეთის საბჭოთა ყრილობა.

მოსკოვი. 17 ოქტ. სრულიად ყირგიზეთის მესამე საბჭოთა ყრილობამ, რომელიც გაიხსნა ორენბურგში, მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ლენინს, ტროცკის, სტალინს, ზინოვიევს და კალინინს.

ბრძოლა მექრთამეობასთან.

მოსკოვი. 17 ოქტ. ნიჟეგოროდის რევოლიუციონურ ტრიბუნალმა გაარჩია ვოლგაზე გემების აღმშენებელთა მართველობის ადმინისტრატორთა და მოსამსახურეთა საქმე, რომელთაც ედებოდათ ბრალი მექრთამეობაში. აღმოჩნდა, რომ სხვა და სხვა ხასიათის დანაშაულობა აქვთ ჩადენილი სპეციალისტებს, მოიჯარადრეებს და მოსამსახურეთა ზოგიერთ ჯგუფს, რომელნიც იღებდნენ დიდ ქრთამებს და უყოფდნენ ადმინისტრატორთ.

ბრიანის ქარხნებში.

მოსკოვი. 17 ოქტ. ბრიანის ქარხნების მუშები უზრუნველყოფილია პურით ერთი წლის განმავლობაში. საზამთრო სეზონისათვის მზადდება ტანსაცმელი.

წითელ არმიელის სახლი.

მოსკოვი. 17 ოქტ. უსტ-სისოლსკის ყოფილ მონასტრის ეკლესიაში დიდი ზეიმით გაიხსნა წითელ არმიელის სახლი. სახლში მოეწყო კლუბი.

საფრანგეთი და რუსეთი.

მოსკოვი. 17 ოქტ. საფრანგეთის მთავრობამ, საფრანგეთის მრეწველობის წარმომადგენელთა თათბირზე, განაცხადა, რომ ის ხელს არ შეუშლის კერძო ინიციატივას საბჭოთა მთავრობასთან სავაჭრო ხელშეკრულებების დადებაში.

— პარიზის და მარსელის სავაჭრო პალატამ გამოსთქვეს სურვილი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

შვეცია და რუსეთი.

მოსკოვი, 17 ოქტ. სტოკჰოლმში შესდგა რუსეთ-შვეციის თათბირი პრემიერის, ვაჭრობის მინისტრის და სხვ. მონაწილეობით. თათბირმა გამოიმუშავა გეგმა რუსეთის და შვეციის ეკონომიური დაახლოვების შესახებ.

სომხეთი

ოქტომბრის ზეიმისათვის.

ერევანი. 15 ოქტ. ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავის დღესასწაულის მომწყობმა კომისიამ გადასწყვიტა] გამოსცეს წერილების კრებული და ბროშიურები, რევოლიუციის შესახებ.

წითელ არმიელების ცხოვრების გაუმჯობესება.

წითელ არმიელების ყაზარმების რემონტი და შენობების აშენება წარმატებით მიმდინარეობს ერევანში. მუშაობა 15 ოქტომბრისათვის დამთავრდება. ჯალალ ოღლიში და ალექსანდროპოლში არა უგვიანეს ოქტომბრის ბოლო რიცხვებისა. შეკეთებულ ყაზარმებში ყოველ გვარი მოწყობილებაა, და დაცულია სისუფთავე. შემდეგი ამოცანას შეადგენს წითელ არმიელების პოლიტიკური და სამხედრო აღზრდა. შეფებმა ყველაფერი უნდა გაიღონ წითელ-არმიელების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

პროფკავშირთა ორგანოები.

ამ დღეებში გამოვა სომხეთის პროფკავშირთა ყოველ კვირეული ჟურნალი „კაჩ ამხატანკ“.

დამატებითი პროდუქტების გაცემა.

პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე მოსამსახურეთათვის სექტემბრის ულუფად დამატებითი პროდუქტების მიცემის შესახებ.

აზერბეიჯანი

ბაქოში გაიგზავნა.

ბაქო. 15 ოქტ. 13 და 14 ოქტომბერს ბაქოში გაიგზავნა სასურსათო სახალხო კომისარიატის სახელზე 33.378 ფ. ხორბლეული, რაც წინანდელ მიღებულ ხორბალთან ერთად შეადგენს 754.737 ფუთს.

საქართველოს ხე-ტყის მასალა ბაქოს ბაზრობაზე.

საქართველოდან ბაქოში გაგზავნილი ხე-ტყის მასალა ჩავიდა და გადმოტვირთული იქნა ბაზრობის ტერიტორიაზე. ტვირთები შესდგება ხე-ტყის სახერხავი ქარხნების ნაწარმოებებისაგან: დგამისაგან, ვენის დგამისაგან და სხვა და სხვა დახერხილ მასალებისაგან.

როგორც ადგილობრივი, ისე სპარსეთის და რუსეთის ვაჭრები დაინტერესებული არიან საქართველოში დამზადებულ დგამით. დადებულია ხელშეკრულება ამ დგამის შესაძენად. სწარმოებს მოლაპარაკება დგამის შესყიდვის პირობების გამოსარკვევად. საქართველოს ხე-ტყის საქონელი ძალიან განსხვავდება სხვა საქონლისაგან თავისი სილამაზით და სიაფით. საქართველოში დამზადებული დგამი ბაქოს ბაზრობაზე, მოულოდნელი მოვლენაა: ვაჭრებს არ სჯეროდათ, რომ ეს დგამი არ ჩამოუვარდებოდა საზღვარ გარეთ დამზადებულ დგამს.

ჯერ ჯერობით ბაზრობაზე გაგზავნილია დგამი 25 დიუჟინამდე. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დარაბები იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებებს მასალების მრავალფეროვნებით. ბაზრობაზე წარმოდგენილია თამბაქოს ტრესტი, ტყა[illegible]ლობის განყოფილება, და ლითონის განყოფილება და სხვა.

რაც უმთავრესია, საქართველოს ხე-ტყის განყოფილების მასალებს ბაქოს ბაზრობაზე მეტოქე არ ჰყავს; საქართველოს ხე-ტყის განყოფილებას საშუალება აქვს გაასაღოს თავისი საქონელი ასტრახანის და ცარიცინის საქონელზე 25-30 პროცენტით უფრო იაფად. ამ დღეებში ბაზრობაზე მოელიან ხე-ტყის მასალების ახალ პარტიას.

ფაქტიურად ბაზრობაზე საქართველოს ხე-ტყის განყოფილება არის დგამის ერთად-ერთი გამყიდველი.

საბჭოთა საქართველოში

თიანეთის მაზრა.

სამაზრო სასურსათო კომისრის ცნობით 22 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე შემოსულია მიმდინარე წლის სასურსათო გადასახადი: ხორბალი 2048 ფ., ლობიო 447 ფ., ქერი 82 ფ., ცხვარი 193 ფ. თავი, ქართოფილი 1 ფ., ერბო 13 ფ., ძროხის ხორცი 75 ფ. წარსული წლის ანგარიშში შემოვიდა 2 ფ. ყველი.

მთიან ადგილებში მოსახლეობა ეხლა იწყებს მოსავლის აკრეფას, რაც თავის თავად აფერხებს სასურსათო გადასახადის აკრეფას. ამისდა მიუხედავად მაზრამ უკვე შეასრულა დასახული მიზანის 60 პროც. ე. ი. ნახევარზე მეტი.

აჭარისტანი. საუწყებათაშორისო თათბირმა, რომელიც მოწვეული იყო ნატურ გადასახადის 20.000 ფ. სიმინდის გასანაწილებლად, იხელმძღვანელა რა მიწად მოქმედების სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილ ცნობებით და ც. სტატისტიკურ ბიუროს ცნობით 1917 წლის აღწერის შესახებ გაანაწილა სასურსათო გადასახადი მაზრაში შემდეგნაირად: ქობულეთის მაზრას—8.000 ფ., ბათომისას—6.000 ფ., ხულოს—3 000 ფ., ქედის—2.000 ფ. და აჭარისწყალის—1.000 ფ., ერთი კვირის განმავლობაში სასურსათო სამეულებმა სასურსათო სახ. კომისარიატის დახმარებით უნდა დაამთავრონ სასურსათო გადასახადის განაწილება მაზრის თემებს შორის.

ახალციხის მაზრა.

მიწათმოწყობა. მუშაობა მაზრაში დაიწყო ა. წ. პირველ ივლისს. ცენტრიდან წარგზავნილ 2 მიწის მზომელთა მიერ სათემო მიწის კომიტეტების მონაწილეობით ა. წ. პირველ ოქტომბრისათვის საბოლოოდ მოწყობილ იქნა 15 სოფელი ვარხანის, ურაველის და ნაწილობრივ ადიგენის თემებისა—5248 ნახ. დეს. სივრცით, 416 კომლით. დათვალიერებულია ამ კომლების კუთვნილი 3679 ნაჭერი მიწა და იმ პირს. რომელსაც დაწესებულ ნორმაზე მეტი აღმოაჩნდა ჩამოერთვა და განაწილებულ იქნა უმიწაწყლო და მცირე მიწის მესაკუთრეთა შორის (138 კომლი)—252 დესიატინა 1886 კვ. საჟ. 368 ნაჭერი.

სათადარიგო ფონდი დატოვებულია 5 სოფელში 144 დეს. და 1127 კვ. საჟ. რაოდენობისა., საიდანაც 80 დეს. 1867 კ. საჟ. საზოგადო საძოვარს ეკუთვნის.

აგრონომიული ხასიათის ღონისძიებათათვის დატოვებულია 7 საბალო ნაჭერი: 1 სოფ. თხითუბანში 1 დეს. 120 კვ. საჟ; 4—სოფ. ურაველში 1 დეს. 972 კვ. საჟ; ერთი სოფ. უხნაში 2 ნახ. დეს. და სოფ. შოლავერში (სახმავი) სკოლისათვის 1 დეს. 1000 კვ. საჟ.

ბორჩალოს მაზრა.

სექტემბრის განმავლობაში მაზრაში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: კონფისკაცია, ჯგუფური და ერთ პიროვნული განაწილება; დაწესებულია უდავო საზღვრები სახელმწიფო ტყეების მხრით—10 სოფელში 5013 დეს. სივრცეზე.

მიწის განაწილების დროს კატეგორიების მიხედვით და უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთათვის მიწების კონფისკაციის დროს მიღებულია 732 ნაჭერი სივრცით 2.274 დეს.

ბაშკიჩეთის რაიონში სოფ. მიჯაშიქვემო კარაბულაში, იაგუბლოში, მცირე გომარეთში და მამულა სოფელში—საერთო სივრცით 5884 დესიატინა მიწის განაწილება კატეგორიების მიხედვით დამთავრებულია.

დათვალიერებულია 986 ნაჭერი სივრცით 2915 დესიატინა, რომელსაც ფლობდენ ზედმეტი მიწის მქონე გლეხები, საიდანაც 645 ნაჭერი ჩამორთმეულია უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა შორის გასანაწილებლად და შეძლებულ გლეხებს დარჩათ 341 ნაჭერი, საცდელ ღონისძიებათვის გამოყოფილია 3 ნაჭერი სივრცით 2 დესიატინა.

დედობითი და ბავშვობის დაცვის საზოგადოების ამიერკავკასიის პირველი ყრილობა

დილით, 15 ოქტ. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა დედობითი და ბავშობის დაცვის საზოგადოების ამიერ კავკასიის პირველი ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. კუჭაიძემ.

უკრაინის ჯანმრთელობის სახ. კომისარის ამხ. გურევიჩის მისალმება. საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე ამ. ბეჟუვსკი აცნობებს დამსწრეთ, რომ ყრილობაზე იმყოფება უკრაინის ჯანმრთელობის კომისარი ამხ. გურევიჩი და წინადადებას იძლევა მიესალმონ მას. დამსწრე ოვაციებს უმართავენ გურევიჩს.

პრეზიდიუმის არჩევნები. საორგანიზაციო ბიუროს წინადადებით ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. გოგიტიძე, ფიშერი, მარკოზოვი, ემანუელი, ბეჟუვსკი, ტარხანოვი, მამულია, კარამურზა და ზერჩუმიანი.

მისალმებანი. უკრაინის ჯანმრთელობის კომისარიატის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გურევიჩმა, რომელმაც ვრცლად შეუფარდა და გააშუქა დედობის და ბავშობის დაცვის საქმის დაყენება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და საბჭოთა ფედერაციაში, და ხაზი გაუსვა იმას, რომ მაშინ როდესაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კაპიტალიზმი ერთი ხელით ქმნის აუარებელ ობლებს და მეორე ხელით ხალხის შესებს უგდებს მოწყალებას ვითომ იმ მსხვერპლების გამოსასყიდათ, რომელიც კაპიტალისტური წესწყობილება თხოულობს, საბჭოთა ფედერაციაში ეს კარდინალური საკითხია და მას დიდი ყურადღება ექცევა.

„ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო“

ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტი სცემს ზემოთ ხსენებულ სათაურით კრებულს რომელშიც გაშუქებული იქნება ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა როგორც ჩვენში,—საქართველოს სინამდვილით, ისე მსოფლიო მასშტაბით, აგრეთვე მოთავსებული იქნება მოგონებები და მოთხრობები ოქტომბრის რევოლიუციის პირდაპირ მონაწილეთაგან. ამიტომ ვთხოვთ რევოლიუციის აქტიურ მონაწილე ამხანაგებს წარმოადგინონ თავიანთი მოგონება—მოთხრობები არა უგვიანეს ამ თვის 20 რიცხვისა.

მისამართი: **ს. კ. პ. ცენტრალ. კომიტეტის აგიტ-პროპი ს. თალაკვაძესთან.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა

ერთიან პარტიულ დღეს,

20 ოქტომბერს დასვან დღის წესრიგში

„საერთაშორისო მდგომარეობა“.

თეზისები დამატებით იქნება გამოქვეყნებული.

4—2 ტფ. კომ. მდივანი **მიხ. კახიანი.**

შემდეგ ლაპარაკობს ემინეტი, რომელიც დედობის და ბავშობის დების განვითარების ისტორიას გვისურათებს და დაწვრილებით აშუქებს ამ ყრილობის წარმოშობის ისტორიას.

შემდეგ მისასალმებელ სიტყვები წარმოსთქვეს აზერბაიჯ. განათლების კომისარიატის სახელით ამხ. ორუჯალიევმა; ბავშთა და დედობის დაცვის სომხეთის განყოფილების დავალებით ამხ. ტარხანოვამ; ბავშთა სნეულობის კლინკის და კათედრის სახელით ამხ. გოგიტიძემ, საქართველ. განათლების კომისარიატის სახელით ამხ. მარიამ ორახელაშვილმა; კავ. ცალკე არმიის სანიტარულ ნაწილის სახელით ამხ. იუზენფრომ, საქართველ. პოლიტიკური განათლების მთავარი მართველობის სახელით ამხ. ცერცვაძემ და საქ. კომ. პ. ცენტ. კომიტეტის ქალთა განყოფილების სახელით ამხ. კიდაშჩიმ.

მისალმება ლენინს. ამხ. ბეჟოვსკის წინადადებით ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს ყრილობის და მუშების სახელით ამხ. ლენინს.

პარტიული ცხოვრება

თელავის მაზრა.

20 სექტემბერს ქ. თელავში გაიხსნა მესამე ლეგალური სამპარტკომფერენცია, რომელსაც დაესწრო 40 დელეგატი. კომფერენციის მუშაობა სამ დღეს გაგრძელდა. განხილულ იქნა მაზრისათვის საჭირო კითხვები. კომფერენციის საპატიო თავრეებათ არჩეული იქნენ ამხ. მიხა და ფილიპე. კომფერენცია აღფრთოვანებით შეხვდა ც. კ. რწმუნებულის ამხ. ტრაპაიძის განცხადებას, რომ ამხ. ლენინი სულ განკურნებულიაო. საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ზ. ტრაპაიძე, რომელიც გასაგები ენით ახასიათებს ბურჟუაზიულ ქვეყნებს და საბჭ. რესპუბლიკების მდგომარეობას და ურთიერთ დამოკიდებულებას.

ამხ. აფციაური აბარებს პარკომის მუშაობის ანგარიშს კომფერენციას კომფერენციამ პარტკომის მუშაობა იცნო დამაკმაყოფილებლათ. სამაზრო ღმასკომის თავ-რემ ამხ. მათიკაშვილმა გააკეთა მოხსენება აღმასკომის მუშაობის შესახებ. საერთოთ პარტმუშაობა და საბჭოთა აღმშენებლობა თელავის მაზრაში იმ ძალების, მიხედვით რომელნიც აქ მუშაობენ, უნდა ჩაითვალოს საშუალოთ.

კომფერენციამ დიდი ყურადღება მიაქცია კოოპერაციას, მომავალ პარტმუშაობას და მიწის საკითხს, რაზედაც სათანადო დადგენილებანი გამოიტანა. შემდეგ მოხდა ახალი პარტკომის არჩევნები. არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები:

1) კ. სტურუა, 2) შ. მათიკაშვილი, 3) დ. აფციაური, 4) გ. ჩიტალაძე, 5) კოშაძე, 6) ქურციკაშვილი, 7) კოხტაშვილი, 8) ბრეიტმანი, 9) ჩეგურიშვილი. კანდიდატებად ამხ. ელზიბია და სხ..

კომფერენციამ თავისი მუშაობის დასასრულ მისცა ნაკაზი ახალ კომიტეტს საქმიანი მუშაობისათვის. საერთოთ უნდა ითქვას, რომ მაზრაში ძალების ნაკლოვანება არის, რაც პარტმუშაობას აფერხებდა. ახალი კომიტეტი მიაქცევს ყურადღებას ამას და სათანადო ზომებს მიიღებს.

ახალგაზრდა გლეხი.

—

დაბა აბაშა.

5 ოქტომბერს შესდგა ქვათანის თემის პარტკონფერენცია, რომელიც ჩატარებულ იქნა სამპარტკომის წევრ ვანო ჩაკვეტაძის მიერ. თავმჯდომარეობდა მამ. კაჭარავა, მდივნობდა ჟ. ფრანგიშვილი.

განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1, მიმდინარე მომენტი; 2, წითელ არმიაში გაწვეულ ამხანაგთა ოჯახების დახმარების კვირა; 3, პარტიის გენერალური გაწმენდა; 4, საწევრო გადასახადი; 5, გაზეთების საქმის მოწესრიგება; 6, წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაცია და კომისიის არჩევა; 7, უმპარტკომის მოვალეობა და მისი არჩევა; 8, ქალთა შორის მომუშავე ინსტრუქტორის არჩევა და 9, არჩევა სამაზრო კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების. ყველა საკითხებზე გამოტანილ იქნა სათანადო დადგენილებანი. არჩეულ იქნენ უმპარტკომში და კომისიებში შესაფერი ამხანაგები. კონფერენციას, ჰქონდა მეტად საქმიანი ხასიათი. აბაშის რაიონის თემებში კონფერენციები ჩაატარა ამხ. ვ. ჩაკვეტაძემ. ასეთები ეწყობა მაზრის ყველა თემებში.

სამაზრო პარტკონფერენცია შესდგება 20 ოქტომბერს.

ორგანიზაციულ სტრუქტურაში ახალი ცვლილებების შემდეგ პარტიის მუშაობა უფრო გამოცოცხლდა.

ჟან—ფანი.

სამტრედია.

მთელი სამტრედიის რაიონში ამ ბოლო დროს ძლიერ გამოცოცხლდა პარტიულ ორგანიზაციული მუშაობა. თემებში დაარსებულია სათემო კომიტეტები; ქალაქის უჯრედი დაშალეს და მისი წევრები მიაწერეს ახლობელ უჯრედებს. ამ უჯრედების კრება ხდება ყოველ კვირაობით, ხუთშაბათს ცალ ცალკე და პარასკეობით გაერთიანებული კრებები,—მთელი რაიონის მდივნების თათბირები კი თვეში ერთხელ, მთელ რაიონის მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს პარტიის წევრთა პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდას, ყველა თემკომები და სამდივნოები, ყოველ მორიგ კრებაზე აწარმოებენ „კომუნიზმის“ ანბანის შესწავლას და ლიტერატურულ მეცადინეობას. ისმენენ მოხსენებებს მომენტზე, არჩევენ სხვა და სხვა დღიურ კითხვებს. თუ ასეთი ტემპით იწარმოვა პარტიულ ორგანიზაციულ მუშაობამ, სულ მალე ხანში ჩვენ გვეყოლება კარგი მომზადებული ამხანაგები, რომლებიც მედგარი დამცველნი იქნებიან ოქტომბრის მონაპოვარის და ღირსეულ პასუხს გასცემენ მტრებს.

ხან—კანი.

პროვინციაში

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის მუშაობა აგვისტოს განმავლობაში (ქუთაისის სამაზრო პარტკომის ანგარიშიდან)

(დასასრული იხ. „კომუნისტი“ № 238)

ჯანმრთელობის ნაწილი. 1 აგვისტოსათვის განყოფილების გამგებლობაში იყო 73 დაწესებულება—5 საავათმყოფო, ერთი ბავშვთა სახლი, 1 სულით ავათმყოფთა თავშესაფარი, 26 საექიმო ბუნქტი, 1 კბილის სამკურნალო, 4 ამბულატორია, 1 სანიტარული რაზმი, 1 ეპიდემიური რაზმი, 1 სააფთიაქო საწყობი, ქალაქის აფთიაქები 4, და მაზრის—26. ამ დაწესებულებებში 1 აგვისტოსთვის იყო 490 მოსამსახურე. ამ თვეში, თანახმად განყოფილების პროექტისა და აღმასკომის დადგენილებისა, ქუთაისის ამბულატორიებში შემოღებულია ამბულატორიულ ავათმყოფებზე ფასი, თითო კაცზე 20 ათასი მანეთი. ამ გადასახადიდან თავისუფალნი არიან საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი, წითელ არმიელები და ღარიბები. აგვისტოში გაიხსნა ორი ახალი საექიმო პუნქტი-მალლაკში და მატხოჯში. გადაყვანილია ადგილობრივი ხარჯზედ პატრიკეთის და ყოფურჩხეთის საექიმო პუნქტები. მიენდო მალარიასთან მებრძოლ ექსპედიციას შემოიაროს ქუთაისის მაზრის ის რაიონები, რომლებიც არ შედიან მათ მოქმედობის ფარგლებში, სახელდობრ: მუხიანი, ბაში და პატრიკეთი. მათვე განკარგულებაში გაგზავნილ იქნა ექიმი გუხულაშვილი. აგვისტოში ქუთაისში იყო 35 გადამდები სენიანი ავათმყოფი, ამათთან პარტახტიანი ტიფით 20 კაცი, შებრუნებითი ტიფით 4 კაცი, ყვავილით 9 კაცი, მუცლის ტიფით 1, ხოლერის მხრივ საეჭვო 1, დეზინფექცია გაუკეთდა 25 ბინას. სანიტარული ექიმებისა და ზედამხედველების მიერ დათვალიერებულ იქნა აგვისტოში სავაჭროები და ეზოები—2,134. ამათში სუფთა აღმოჩნდა 1,491. უსუფთაობისათვის გაფრთხილება მიეცა 643.

სასურსათო საქმე. სასურსათო კომისარიატი ყოველ დღიურათ აწარმოებდა საჭირო სურსათ-სანოვაგეს სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ 2882 კაცს და გამოკვება აგრეთვე სატუსაღო. აგრეთვე დაარიგა ივნისის თვის ულუფა. ამავე თვეში დაამთავრა წასული წლის ნატურ-გადასახადის აკრება და თანახმად საანგარიშო თვის 10 რიცხვის აღმასკომების თავმჯდომარეების ყრილობის დადგენილებისა, მათთან შეთანხმებით გაიწერა ახალი ნატურ-გადასახადი. დაეგზავნა თემებში სიები და სათანადო ინსტრუქციები. სასურსათო კომისარიატში თანამშრომლები ირიცხებოდა 16 პირი, მათგან—3 კომუნისტი, 2 თანამგრძნობი, 1 სოც.-ფედერალისტი და 10 უპარტო.

მილიცია. საანგარიშო თვის განმავლობაში ქ. ქუთაისში მოხდა 50 ქურდობა, რომლიდან 5 საქმეზე კვლევა ძიებას აწარმოებდა საერთო მილიცია, დანარჩენს კი, ე. ი. 45 სისხლის სამართლის მილიცია. საერთო მილიციისგან გახსნილ იქნა 1 შემთხვევა, მის მიერვე (ე. ი. ქალაქის საერთო მილ.) აკრეფილია და შეტანილი კუთვნისამებრ სხვა და სხვა სახელმწიფო გადასახადები 183.643.525 მან. გარდა ამისა დაკმაყოფილებულია მთავრობის სხვა და სხვა საგანზე მოწერილობანი.

მაზრის ფარგლებში სხვა და სხვა ბოროტმოქმედებას ადგილი ქონდა 13 შემთხვევას: 5 მკვლელობას., 5 გაძარცვას, 1 წამებას, 1 თავდასხმას და 1 გალახვით სიკვდილს. მილიციის მიერ მიღებული ზომებით ყველა აღნიშნული შემთხვევები, გარდა ერთისა, გახსნილია. აგვისტოს თვეში განსაკუთრებული ენერგია და ნაყოფიერი მუშაობა გამოიჩინა სისხლის სამართლის მილიციამ, რომელმაც 45 ქურდობის შემთხვევიდან გახსნა 36, დარჩა გაუხსნელი 9 საქმე, აღმოაჩინა ნაქურდალი სხვა და სხვა საქონელი, რომლის ღირებულება უდრის 100.000.000 მან. აღმოაჩინა საიდუმლო წამლების საწყობი, რომელიც გადაეცა ჯანმრთელობის განყოფილებას, მისი ღირებულება აღემატება ნახევარ მილიარდ მანეთს., მის მიერვე გახსნილია აგრეთვე სამხედრო კომისარიატის სახელით ყალბი ლიტერების, რკინის გზის ბილეთების გაყიდვა და სხვა. შემადგენლობა მილიციის პოლიტიკურათ უნდა ჩაითვალოს საიმედოთ.

სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს, ვენახები შესამჩნევათ დაზიანდა და ღვინის მოსავალს უნდა ველოდოთ ძლიერ დაბალს.

აღმასკომის ფინანსიური მდგომარეობა კრიტიკულია თუ ცენტრიდან არ იქა გაწეული სათანადო დახმარება, აღმასკომი გამოსავალს ვერ მონახავს.

მაზრის ეკონომიური მდგომარეობა მოსავლის მხრივ გაუმჯობესებულია, აგრეთვე დამაკმაყოფილებელია პოლიტიკური მდგომარეობაც. მშრომელი ხალხი, იმედით და ნდობის თვალით უყურებს მთავრობას, და არაფითარ არა სასურველ გამოსვლას მის საწინააღმდეგოთ აგვისტოს თვეში ადგილი არა ქონია.

კოოპერაციის საკითხი დამრტყმელ საკითხათ არის გამოცხადებული მიმდინარე თვეებისათვის, რადგან ამ თვეებში უნდა დამთავრდეს გამგეობათა ახალი გადარჩევა. სამპარტკომთან არჩეულია საკოოპერატივო კომისია, რომელშიდაც შედიან ამხ. ქაცარავა. ჩილინკერიძე და გიგაური, ამ კომისიას ქონდა რამოდენიმე სხდომა, ცენტრიდან ჩამოსულ ამხანაგების თანადასწრებით.

სასურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობებით აღმოსავლეთ საქართველოს ათ მაზრებში, სადაც წლევანდელ სასურსათო გადასახადის აკრეფა სწარმოებს, ოქტომბრის 17 თვის ხორბლეულის ერთეულით აკრეფილია 456,252 ფუთი, ანუ 72,2 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

რამდენია აკრეფილი თვითეულ მაზრაში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თუ რამდენი ფუთი ხორბლეულის ერთეულია შეწერილი თვითეულ მაზრაზე, რამდენია აკრეფილი და ეს აკრეფილი გადასახადი შეწერილ გადასახადის რამდენს პროცენტს შეადგენს.

მაზრები.	რამდენი ფუთი ხორბალი აქვს წელს შეწერილი?	რამდენი ფუთია აკრეფილი?	რამდენი პროცენტია აკრეფილი?
1. გორის მაზრა	100.000	100.000	100,0
2. თელავისა	60.000	60.000	100,0
3. სიღნაღისა	100.000	100.000	100,0
5. ახალციხისა	55.000	45.064	81.9
4. სამხრეთ ოსეთი	25.000	20.249	80,9
6. ტფილისისა	70.000	56.350	80,5
7. დუშეთისა	30.000	22 037	73,4
9. თიანეთისა	20.000	11.648	58,2
8. ახალქალაქისა	36.000	17.821	49,5
10. ბორჩალოსი	80.000	23.083	28,8
სულ	576.000	456,252	79,2

ქრონიკა

◆ **აღმოსავლეთ-საქართველოს რევტრიბუნალში.** 25 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოს ტრიბუნალში საჯარო სხდომაზე გარჩეულ იქნება მე-8-ე უბ. სახალხო მოსამართლის ყოფილ მდივნის ილია მიხეილის ძე ციციშვილის საქმე, რომელსაც ბრალი ედება სალერბო გადასახადთა მითვისებაში და საქმეთა მოსპობაში.

◆ **სამრეწველო დაწესებულებათა აღწერა საქართველოში.** საქართველოს მრეწველობის გამორკვევის მიზნით ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო ახდენს 17 ოქტომბრიდან ერთდროულ გამოკვლევას საქართველოში არსებული სამრეწველო დაწესებულებებისა.

— აღრიცხვას ხელმძღვანელობს: ქ. თბილისში—ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, აჭარისტანში—აჭარისტანის ცენტრალური სტატისტიკური ბიურო, აფხაზეთში აფხაზეთის ცენტრ. ბიურო, ხოლო დანარჩენ ადგილებში სამაზრო სტატბიუროები.

— აღირიცხება სამრეწველო დაწესებულება სადაც არის მექანიკური მამოძრავებელი ან და ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 10 მუშისა.

— აღწერა გაგრძელდება ქ. თბილისში 23 ოქტომბრამდე, ხოლო დანარჩენ ადგილებში ოქტომბრის დამლევამდე.

◆ **შავი ქვის ექსპორტი.** საქართველოს ნავთსადგურებიდან 20 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე გატანილია საზღვარ გარეთ შავი ქვის მადანის შემდეგი რაოდენობა. გემი „ბენალდერით“ 455.570 ფუთი მადანი (როტერდამში) „ვეიშიენით“—187.642 ფუთი (გარდსტონში) „კონეჯორით“—63,000 ფ. პეროქსიდი, 12.730 გარეცხილი მადანი, სულ—312.441 ფ. (გავიდა ბალტიმორაში, ამერიკაში) და „გარდენიათი“—307.951 ფ. მადანი (გარდსტონში—ინგლისში) სულ მაშასადამე ერთი კვირის განმავლობაში დატვირთულია 1.263.604 ფ.

◆ **ახალი წიგნი.** საქართველოს სახ. განათლების კომისარიატის პროფესიონალურ განათლების განყოფილებასთან არსებულმა სამეცნიერო საბჭომ მოიწონა სახელმძღვანელოდ, პედაგოგის ი. გომელაურის ახალი წიგნი „ქართველი მწერლები“, რომელიც შეტანილია სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოსაცემ წიგნების სიაში.

◆ **მსხვილი ასიგნობა.** გამოკვების კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით დაადგინა გაიღოს თამბაქოს ტრესტის თანხებიდან 2 მილიარდი მანეთი ქართ. ფულის ნიშნებით, მუშათა 1 ლ მოსახლეობის მოსაწყობად.

◆ **ქალები ტრამვაიზე.** იმ 150 ქალიდან, რომელნიც მუშაობდენ ტრამვაიზე მსოფლიო ომის დასაწყისში, ამ ჟამად დარჩა მხოლოდ 3, რომელნიც მუშაობენ ტრამვაიზე კონდუქტორების სახით.

მეაბრეშუმეობა და პარკის ოპერაცია საქართველოში

მეაბრეშუმეობის ნაწარმოებთა ოპერაციები 1921 წელს მეტად არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა. ხელისუფლების გამოცვლა, მოწყობილ აპარატის და საკმარის საშუალებათა უქონლობა და პოლიტიკურ მტრების აგიტაცია, მიმართული იქით, რომ ხალხში გამოეწვიათ უნდობლობა მთავრობის ორგანოთა მიმართ, შეუძლებელ პირობებს ქმნიდნენ მუშაობისათვის. მიუხედავათ ამისა, ჩვენ იმაზე ნაკლები არ შეგვიგროვებია, რომელნიც შეაგროვა მენშევიკურმა მთავრობამ უფრო ნორმალურს პირობებში.

მიმდინარე წელს სახალხო სასურსათო კომისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ამ საქმეს. ამ საკითხს შევეხეთ არა მარტო კომერციულის თვალსაზრისით, არამედ იმ მხრითაც, თუ რამდენად სასურველია უაღრესად განვითარება მებრეშუმეობის მრეწველობისა საქართველოში.

ნორმალურ დროს, ომამდე მეაბრეშუმეობა გლეხობისათვის შეადგენდა შემოსავლის ერთ-ერთს უმთავრეს წყაროს, რომელიც ხელს უწყობდა წვრილ მწარმოებელთა შესყიდვის უნარის გაძლიერებას. ჯერ კიდევ მე-50 წლებიდან საქართველოს გააქვს მეაბრეშუმეობის ნაწარმოები და ასაღებს საზღვარ გარეთის ბაზარზე მარსელსა და მილანში, რის გამოც აბრეშუმის პარკის ფასები წესდებოდა ხოლმე ევროპის ფასების მიხედვით. მწარმოებელნი მებრეშუმენი დაინტერესებულნი იყვნენ მეაბრეშუმეობის განვითარებით. ამას გარდა არ იყო დადებული ბაჟი მეაბრეშუმეობის ნაწარმოებზე. მხოლოდ დაწესებული იყო ბაჟი შემოტანილ პროდუქტებზე (ფუთ აბრეშუმის თესლზე ერთი მანეთი ოქროთი). მეაბრეშუმენი, აბრეშუმის მრეწველნი არა ერთხელ შუამდგომლობდნენ, რათა შემოტანილ აბრეშუმის თესლზე ბაჟი გადიდებულიყო ხუთ მანეთამდე მაინც. ყველა ეს გარემოება ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მეაბრეშუმეობის განსავითარებლათ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეაბრეშუმეობის არც ერთი ქვეყანა ბაჟს არ აწესებდა გარეთ გასატან მეაბრეშუმეობის ნაწარმოებებზე. ყველგან ყველა მთავრობა ზომებს იღებდა და იღებს აბრეშუმის პარკის წარმოების განსავითარებლათ. მაგალითად საფრანგეთმა უკანასკნელ 19 წლის განმავლობაში 150 მილიონი ფრანკი დახარჯა საფრანგეთის მეაბრეშუმეთა და აბრეშუმის მწარმოებელთა პრემიებზე.

იტალია ამავ მიზნისთვის ყოველ წელს ხარჯავს ერთ მილიონ ფრანკზე მეტს. იაპონიაში მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა წყალობით ოცი წლის განმავლობაში მეაბრეშუმეობის პროდუქტების ექსპორტი 30-დან 300 მილიონ ფრანკამდე გაიზარდა.

საქართველო, რომელსაც ყოველ წლივ 150.000 ფუთი ნედლი პარკის ანუ 50 000 ხმელი პარკი მოსდის, 60—70 პროცენტს ანუ 30—40 ფ. საზღვარგარეთ გზავნიდა—მილანსა და მარსელში და მხოლოდ 10—15 ათას ფუთს ხმელ პარკს ახვევდა ძაფათ და თვითონ ხმარობდა. ცოტაც მოსკოვში მიდიოდა. ასეთი მუდმივი კავშირი დასავლეთ ევროპის ბაზართან კარგად მოქმედებდა ჩვენში წარმოებულ აბრეშუმის პარკის ღირსებასა და რაოდენობაზე, რასაც მუდმივ აღნიშნავდნენ ხოლმე ლიონისა და მილანის ოფიციალურს ბიულეტენებში, სადაც ქუთაისის აბრეშუმის პარკი ფასდებოდა სირიისა და ადრიანოპოლის საუკეთესო ღირსების პარკთან თანაბრად.

ომმა და მის შედეგებმა პირობები სასტიკად შესცვალა. გზები დაიკეტა, დასავლეთ ევროპასთან კავშირი შესწყდა, მომარაგებულ პროდუქტების რეალიზაცია შეფერხდა. ხალხს გული გაუცრუვდა ამ საქმეზე, რამაც გავლენა იქონია მეაბრეშუმეობაზე.

ომამდე 1910—1915 წელს:

	1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.	1914 წ.
გამოყვანილ იქნა თესლი ათას კოლოფად	130	120	147	80	165
მიღებულ იქნა მოსავალი ნედლი პარკი 1000 ფუთობით	160	150	140	95	128
ერთი ფუთი პარკის ფასი:					
ნედლისა	16	17	13	16	20
ხმელისა	52	48	43	72	65
ომის დროს 1915—1920 წლამდე:					
	1915 წ.	1916 წ.	1917 წ.	1918 წ.	1919 წ.
გამოყვანილ იქნა	74	49	37	32	19
მოსავალი იყო ათას ფუთობით	87	52	42	40	20
პარკის ფასი:				კერენსკის ფული:	
ნედლისა	18	35	75	150—200	
ხმელისა	85	350—400	600	700	1500—2000

ასეთია სურათი მეაბრეშუმეობის მდგომარეობისა ომამდე და ომის შემდეგ. 1910 წელს აბრეშუმის პარკის მოსავალი უდრიდა 160,000 ათასამდე ფუთს. 1919 წელს უდრის 20,000 ათასამდე ფუთს.

ფასი იყო 16—20 მან. ოქროთი.

ძნელი დასანახი არ არის ის, რომ უკანასკნელ წლების მოვლენებმა დამღუპველად იმოქმედა მეაბრეშუმეობის მდგომარეობაზე. ყველა ეს აიხსნება არა ომის შედეგებით და პოლიტიკურ გადატრიალებით, არამედ უმთავრესად იმით, რომ მეაბრეშუმეობის პროდუქტების რეალიზაცია და შეძენა ხელში ჰქონდათ ჩაგდებული კერძო ინიციატორებს, რომელნიც ძალიან ცოტას ზრუნავდენ მეაბრეშუმეობის დაცვისა და განვითარებისათვის. ნორმალურ პირობებში კერძო კაპიტალს შესაძლებლობა ჰქონდა დამშვიდებით ემუშავნა თავის დროზე გაესაღებინა მოსავალი და თავის დროზე შეეძინა ამრეშუმის თესლი.

იმპერიალისტურ ომის გაჩაღების დღიდან, რამაც არა ხელსაყრელი პირობები შექმნა პროდუქტების გატანისა და გაცვლისათვის, აბრეშუმის პარკის მოსავალი დღითი დღე კლებულობს და მისი რაოდენობა მინიმუმამდე დადის. მთავრობის წინაშე მკაცრად წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ სასწრაფო ზომები იქნეს მიღებული მეაბრეშუმეობის გასაუმჯობესებლად. გამოსავალი გზა მოძებნილ იქნა მონოპოლიაში.

ბევრს ჰგონია, რომ მონოპოლია არა თუ არ აუმჯობესებს მდგომარეობას, არამედ უფრო აუარესებს. ფაქტები სწორედ ამის წინააღმდეგ მეტყველებენ. მთავრობის მონოპოლიის დროს მოსავლის შეგროვება, გაყიდვა და რეალიზაცია მთლად სახელმწიფოს ხელშია, იმ სახელმწიფოსი რომელიც დაინტერესებულია არა მარტო იმით, რომ კომერციული სარგებელი ნახოს, არამედ იმითიც, რომ ეს დარგი დაიცვას და შეინახოს.

იმის მიუხედავად, რომ მენშევიკური მთავრობა ბურჟუაზიულ ეკონომიურ პოლიტიკას ახხორციელებდა და კერძო ინიციატივას ეყრდნობოდა, ის მაინც მივიდა მონოპოლიამდე, რომელიც დღევანდელ ჩვენს პირობებში უფრო მისაღები ღონისძიებაა მებრეშუმეობის დასაცავად. სხვა გზა არ იყო.

აბრეშუმის პარკის ოპერაცია კარგად მიმდინარეობს იმ დროს, როდესაც საკმარისი ნივთიერი საშუალება არსებობს. ამ ოპერაციას სასეზონო ხასიათი აქვს. ერთი თვის განმავლობაში მთელი თანხა, რომელიც საჭირო დამზადებისათვის, საქმეში უნდა იყოს ჩაყრილი. წინააღმდეგ შემთხვევაში მეაბრეშუმეებს არავითარი ანგარიში აღარ ექნებათ, რომ აბრეშუმის პარკის წარმოება გაავრცელონ.

თუ მოსავალი დროზე არ იქნება განაღდებული, მაშინ გლეხი უეჭველად აღარ იქნება ეკონომიურად დაინტერესებული მეაბრეშუმეობის განვითარებით. საფინანსო მდგომარეობის დროს ფიქრიც შეუძლებელი იყო საკრედიტო დაწესებულებათა მხრით დახმარებაზე. საკრედიტო დაწესებულებათა დასუსტება 1917 წლიდან დაიწყო. საზოგადოდ დაწესებულებებს აღარ ჰქონდათ საკმარისი თანხა. საჭირო იყო საქმეში მთავრობის ჩარევა. ყველა ამან მენშევიკური მთავრობა იქამდი მიიყვანა, რომ მონოპოლია გამოაცხადა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მდგომარეობა უფრო მეტად გვავალებს, ჯომ მონოპოლია დავიცვათ. საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც მიზნად ისახავს მეურნეობის დარგების ხელში ჩაგდებას, არ შეუძლიან თავისი ყურადღება არ მიაქციოს მეაბრეშუმეობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უმნიშვნელოვანეს ეკონომიურს ფაქტორს წარმოადგენს.

მხოლოდ იმას, ვინც არ იცნობს ჩვენი სოფლის სინამდვილეს, შეუძლია გვიმტკიცოს ის, რომ მონოპოლიის გარეშე შესაძლებელია აღდგენა ჩვენი მეაბრეშუმეობისა, რომელიც დღითი დღე ქვეითდება. რა ბედი ეწვეოდა მეაბრეშუმეობას, რომ მთავრობა არ იძენდეს აბრეშუმის თესლს?

სად უნდა იშოვოს მთავრობამ ათეული მილიარდი მანეთები აბრეშუმის თესლისათვის? აბრეშუმის თესლის შეძენა მხოლოდ ვალიუტით შეიძლება. კერძო ინიციატივა ხომ არ იკისრებდა ჩვენი მეაბრეშუმეობის უზრუნველყოფას აბრეშუმის თესლით, მსგავსად ნორმალურ დროის წარსულ კამპანიებისა, როდესაც ოსმალელი იმპორტერები ჩალის ფასად თავაზობდენ აბრეშუმის თესლს ამ ჟამად ოსმალეთის აბრეშუმის თესლს. წარმოებისათვის არა სცალია. ეს თესლი თვით მას აკლია. აბრეშუმის თესლის წარმოება ოსმალეთში მინიმუმამდე დავიდა. 800.000 კოლოფის ნაცვლად იგი ამ ჟამად ამზადებს მხოლოდ 50 80 ათას კოლოფს საფრანგეთისა და იტალიის მეაბრეშუმენი ანგარიშის გასწორებას ვალიუტით მოითხოვენ. ამას გარდა აბრეშუმის თესლი, რომელიც ისეთი საქონელია, რომ ჩქარა ფუჭდება, არ წარმოადგენს საიმპორტო ვაჭრობის საგანს ფართო მასშტაბით. აბრეშუმის თესლით მოვაჭრენი დიდს „რისკზე“ მიდიან და ხშირად აგებენ ხოლმე ნორმალურ დროშიაც. მთავრობის მიერ წარსწინ შეძენილი აბრეშუმის თესლი სესხად მიეცათ გლეხებს, რომლებმაც პირობა დასდვეს, გადაიხადონ ეს ვალი მოსავლის რეალიზაციის შემდეგ. ამ ჟამად აბრეშუმის პარკი განაღდებული არის, მაგრამ უკვე დრო დადგა აბრეშუმის თესლის შეძენისა 1923 წ. ამ საქმეზე საჭიროა დაიხარჯოს 25 მილიარდამდე მანეთი საქართველოს ბონებით. საიდან მივიღოთ ეს თანხა? მონოპოლიის არსებობის დროს ადვილია გამოსავალის პოვნა. აბრეშუმის პარკი სახელმწიფოს ხელშია და სწორედ ეს სახელმწიფო არის მოვალე, რომ დროზე იზრუნოს აბრეშუმის პარკის შეძენისათვის. მონოპოლია რომ არ იყოს, არც ეს შესაძლებლობა იქნებოდა და მაშასადამე არც ის შესაძლებლობა, რომ მეაბრეშუმეობა დაღუპვისაგან გადაგვერჩინა. მონოპოლიის შემოღების წყალობით საქართველოში აბრეშუმის პარკისა და აბრეშუმის წარმოება ხომ არ შემცირდა?

ციფრები იმას გვეუბნება, რომ მონოპოლიის შემოღების დღიდან ხელახლა ვითარდება მეაბრეშუმეობა, რომელიც დაღუპვის გზაზე იყო შემდგარი. მონოპოლიის შემოღებამდე ბაზარზე გამოტანილ და გაყიდულ ნედლი პარკის რაოდენობა ხუთი ათას ფუთამდე მივიდა. მონოპოლიის გამოცხადების შემდეგ კი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელიწადსვე გლეხებმა მთავრობას მისცეს 12.000 ფ წელს კი ჩვენ მოვახერხეთ შეგვეგროვებინა 25.000 ფუთი ნედლი პარკი იმ დროს, როდესაც მთელ საქართველოში აბრეშუმის პარკის მოსავალი სულ 45 50 ათას უდრის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენი მოქმედების ფარგალში არ შედიოდა არც აფხაზეთი და არც აჭარა, ნათელი გახდება, რომ წელს მონოპოლია სავსებით დამაკმაყოფილებლად იქნა განხორციელებული და იგი ხელს უწყობს მეაბრეშუმეობის განვითარებას. 1919 წელს, როგორც ზემოთ დავინახეთ, აბრეშუმის პარკის მოსავალი 20 000 ფუთამდე ავიდა. 1920 წელს კი ე. ი. მონოპოლიის გამოცხადების დღიდან ეს რიცხვი გაიზარდა და 50.000 ფუთამდე ავიდა. და ბოლოს განა ცხადი არ არის, რომ ჩვენში უკვე დაიღუპა მებამბეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა და ყველა სხვა კულტურა იმის მიუხედავად, რომ მათზე მონოპოლია არ ყოფილა გამოცხადებული? ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ უბრალო მონოპოლიის განხორციელება აღორძინებდეს ჩვენი მეაბრეშუმეობის და მეხილეობის კულტურას. ეს კი იმას მოწმობს, რომ თუ მეხილეობის პროდუქტების შეგროვება და რეალიზაცია წესიერად იქნება დაყენებული და თუ გვექნება შესაფერი საშვალებანი, რომელიც საჭიროა გლეხ-მწარმოებელთან თანამშრომლობისათვის, მაშინ შეგვეძლება ავაღორძინოთ ეს კულტურა. მაგალითად გორისა და ახალციხის მაზრის გლეხებს ბაღები ეღუპებათ ნივთიერ საშვალებათა უქონლობის გამო. სპეკულიანტები სარგებლობენ იმით, რომ მონოპოლია არ არის გამოცხადებული და მათ ხარბ მადას გასავალი აქვს და ჩალის ფასად ყიდულობენ ჯერ კიდევ დაუბინავებელ მოსავალს. სახელმწიფოს რომ ჰქონდეს ცოტა საშუალება მაინც, შეიძლებოდა ავანსი მისცემოდათ გლეხებს მოსავლის რეალიზაციამდე. ასეთს ნაბიჯს გლეხები დიდის ხალისით შეხვდებიან. იმათ არა ერთხელ მიუმართავთ სამეურნეო კომისარიატებისთვის და ავანსი უთხოვნიათ. მიუმართავთ სახალხო კომისართა საბჭოსათვისაც, მაგრამ საშუალებათა უქონლობის გამო მათი თხოვნა მუდამ უყურადღებოდ ყოფილა დატოვებული. მონოპოლიის არსებობის დროს დიდი თანხა არ არის საჭირო. საქმე შეიძლება მოეწყოს კოოპერაციის ნიადაგზე, მაგრამ სამწუხაროდ არც ეს შესაძლებლობა გვაქვს. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან არც ამ მეურნეობის დარგს დავეუფლოთ და ამიტომვე არც არის აზრი, რომ მონოპოლია გამოვაცხადოთ.

აქედან ცხადია, რომ ისინი დიდად სცდებიან და საკითხს არა სწორედ ეხებიან, რომლებიც ამბობენ, რომ საშვალებათა ქონების დროს საჭირო არ არის მონოპოლია. მაგრამ თუ არ არის საშვალება, მონოპოლია ვერ უშველის საქმეს,

ა. ერქომაიშვილი.

მუშათა ცხოვრება

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების სადეზინფექციო კამერა

ამ დაწესებულებაში მუშაობს 27 კაცი და 2 ქალი. მუშებს ძლიერ მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა. არ არის დაცული სანიტარული პირობებიც. შენობას არა აქვს სავენტილიაციო ფანჯრები. მუშების ტანისამოსი გამურულია ჭუჭყით. მათ არა აქვთ განსაკუთრებული სპეც-ტანისამოსი, რის გამოც მუშაობას უდგებიან პირდაპირ თავიანთი ტანისამოსით, რაც ანტი-სანიტარულ პირობების შექმნას ხელს უწყობს. აგრეთვე მუშები მოკლებულნი არიან განსაკუთრებულ ოთახს ტანისამოსის გასახდელათ და შესანახათ. არა აქვთ გადადუღებული წყალი აგრეთვე პირსახოცებიც. არც აბანოს მხრივ არის საქმე კარგად დაყენებული. მუშებისათვის, ჰიგიენური პირობების დასაცავად აუცილებელია მუშაობის შემდეგ ბანაობა, მაგრამ აბანოს მოკლებულნი არიან. საჭიროა დროზედ მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება და აბანოს საქმე ამთავითვე მოწესრიგდეს. წარმოებასთან სპეციალური ბინები მუშებისათვის მხოლოდ სამი კაცისათვის არის, მაგრამ ბინები არ არის დამაკმაყოფილებელი. ბინებისათვის აუცილებელია რემონტი, რათა მუშების ჰიგიენური პირობები დაცული იქნეს.

მთხიარულდ.

სახელმწიფო საბეჭდო ინსტიტუტის მოსამსახურეთა ცხოვრებიდან

ამ დაწესებულების მოსამსახურენი საშინელ გაჭირვებას განიცდიან. მათში არ არსებობს მტკიცე ორგანიზაცია. ვერ სარგებლობენ იმ უფლებით რომლითაც სარგებლობენ სხვა დაწესებულებათა მოსამსახურენი. აგერ ზაფხული გადის და შვებულებით დღემდის არავის არ უსარგებლნია ვინც ისარგებლა ნაწილობრივათ, თავზედს იწყევლის. თავდაპირველათ შვებულების მიღების დროს, მათ არ აძლევენ წინდაწინ ჯამაგირს, გარდა ამისა შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ, მათ უხდებათ იმდენი სამუშაო, რომ პირდაპირ შეუძლებელია.

მოსამსახურეების მდგომარეობა არც ჯამაგირის მხრივ არის სახარბიელო, მოსამსახურენი აუტანელ შრომას ეწევიან, მუშაობენ უქმე დღეებშიაც, მათთვის არ არსებობს 8 საათის სამუშაო დღე, ზედმეტი სამუშაოს ჯილდო არაა. იმედია, ამ გარემოებას მიაქცევენ ყურადღებას და მოსამსახურეებს მძიმე ტვირთს შეუმსუბუქებენ.

მოხული.

კარგი საქმე

ამ უკანასკნელ ხანებში საფუძველი ჩაეყარა ერთ ძლიერ კარგ საქმეს. ქალაქის განაპირა რაიონში დამზღვევმა კასამ გახსნა საავადმყოფო. საავადმყოფო განაგებს შემდეგ სპეციალურ განყოფილებებს: ტერაპია, ქირურგია და ბავშთა ავადმყოფობა. საავადმყოფო აკმაყოფილებს დაზღვეულთა და მათ ოჯახთა მოთხოვნილებას. ცენტრალური დამზღვევი კასის მიერ ასეთი ნაბიჯის გადადგმა უდიდესი მნიშვნელობისაა. ყველასათვის ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშებისათვის დამზღვევ კასსას. დამზღვევი კასსა ეს მალამოა მუშათა კლასისათვის უბედური შემთხვევების დროს. ცენტრალურმა დამზღვევმა კასსამ მიიღო რა მხედველობაში დაზღვეულთა მოთხოვნილება სამკურნალო დახმარების საჭიროებაში, გახსნა საავადმყოფო, რასაც სიამოვნებით ვეგებებით.

განაპირელი მუშა.

ნაძალადევ-დიდუბის რაიონი.

ნაძალადევის და დიდუბის რაიონი, რომელიც წარმოადგენს მუშურ უბანს, სანიტარულად ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება, ამას მოწმობს აქ გავრცელებული მალარია, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანებში ეპიდემიური ხასიათი მიიღო. საერთო უსუფთაო მდგომარეობას, (ტალახიანი და დამდგარი წყალი ქუჩებში) თან ერთვის ის გარემოება, რომ ამ უბანში ისეთ ოჯახში, სადაც ეზოს სივიწროვის გამო ეტლიც ვერ მობრუნდება, სახლის პატრონებს ჰყავთ ღორები, რომელნიც ძალზე აბინძურებენ ეზოებს. ჩვენ გვესმის, რომ მოსახლე იძულებული არის მოაშენოს ღორი, ქათამი, მაგრამ ისეთ ოჯახებში, რომლის ეზოები რამოდენიმე კვადრატ არშინს შეადგენს, ყოვლად დაუშვებელია ოთხი-ხუთი ღორის ყოლა, რაც ფრიად მავნებელი არის ჰიგიენური თვალსაზრისით. ამას ვერ გრძნობს შეუგნებელი მოსახლე, რადგანაც ასეთი ანტისანიტარული მდგომარეობის შედეგი მყისვე არ იჩენს თავს. და რომ კიდევაც იჩინოს, ამას ის მიაწერს არა თავის ღორებს, არამედ სხვა რამეს. ჩვენ მოვითხოვთ ვისგანაც ჯერ არს მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას. აღეკრძალოს რამოდენიმე ღორის ყოლა ისეთ მოსახლეთ, რომელთაც არა აქვთ შესაფერი ეზო და ადგილი. ეს ცოტათი მაინც გააუმჯობესებს იმ ჰიგიენურათ აუტანელ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებიან ამ უბნის მუშები.

მუშა.

კუსლების გრანიტის ქვის სატეხიდან.

სოფელ კურსებში იტეხება ქვა-გრანიტი, რომელიც რკინის გზას მოაქვს თავის საჭიროებისათვის. ამ საქმეზე მუშაობენ მშრომელი გლეხები. ეს საქმე იჯარით ქონდა აღებული რკინის გზიდან აქაურ მცხოვრებელს ევტიხი ბერეჟიშვილს. როცა ეს მოიჯარადრე ურიგდებოდა მუშებს მუშაობის შესახებ, მას არ გაუმხელია სიმართლით თუ რამდენში ქონდა აღებული თითოეული საჟენი ქვის მოსატეხათ. აქ ძლიან სიმშილობა იყო და მშრომელმა გლეხებმა, რადგან სამუშაო იშოვეს, აღარ დაეძიეს, და მიენდნ მოიჯარადრეს. მარა უბედურება ის იყო, რომ დილიდან საღამომდი მომუშავე გლეხობა მაინც მშიერ ტიტველი დარჩა. მუშები მიხვდნენ, რომ ეს მოიჯარადრე მათ ატყუილებდა. დაუფიქრდნენ საქმეს, მოიყარეს თავი, შეკავშირდნენ და თავხედ მოიჯარადრეს ანგარიში მოსთხოვეს, რაც მან ძალიან იწყინა. მუშებმა ამოირჩიეს სამი წარმომადგენელი თავიანთ შორის, მაინდვეს მათ საქმის გამორკვევა მუშათა კავშირებში და დაჟინებით მოითხოვეს საქმის გარჩევა. ისინი მოითხოვდნენ ცნობებს, მოიჯარადრეს რამდენში აქვს აღებული რკინის გზიდან ქვა საჟენობით, რა ხარჯი აქვს გაწეული და რა რჩება მოგება.

მუშების წარმომადგენლებმა მიმართეს ტყიბულის და ქუთაისის მაზრის მუშების კავშირებს. ბევრი წვალების და დროს გაცდენის შემდეგ, ამხ. ლადარიას მეცადინეობით და რჩევით მოიჯარადრე იძულებული შეიქნა მოემატებია საჟენზე 150 ათასი მანეთი. არტელი შეადგინეს მუშებმა. 35 მშრომელი გლეხი მუშაა ჯერ შეკავშირებული და აწარმოებენ თვითონ ქვას ტეხას.

ჩვენ დავთანხმდით ხსენებულ მომატებაზე, მარა კმაყოფილი მაინც არა ვართ, რადგან ის კითხვები, რომლებიც ჩვენ დავსვით გამოურკვეველი დარჩა.

აპოლონ იამანიძე.

თბილისის წყალსადენში

18 ოქტომბერს, შესდგა თბილისის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მე 5 ყრილობა. და კოლექტიური ხელშეკრულობის განხილვა. ყრილობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სერგეევმა, მუშებმა დიდის ინტერესით მოისმინეს ამხ. სერგეევის მოხსენება, რის შემდეგ ერთხმათ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. სერგეევისა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მე 5 ყრილობის მუშაობის შესახებ, ჩვენ წყალსადენის მუშები, ვესალმებით მას და ჩვენის მხრივ პირობას ვაძლევთ შევასრულოთ ყველა მისი დადგენილებები, რომელიც იქნება შეფარდებული ადგილობრივ პირობებთან". „კოლექტიური ხელშეკრულობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აფანასიევმა; მან დაწვრილებით გააცნო კრებას როგორც მისი შინაარსი, აგრეთვე მისი მნიშვნელობა, რის შემდეგ ერთხმათ იქნა მოწონებული და დამტკიცებული. აქვე უნდა აღვნიშნო ერთი არა სასიამოვნო მოვლენა, რომელსაც ყოველთვის ადგილი აქვს წყალსადენის მუშებში. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი მუშა-მოსამსახურე ან სულ არ მოდის კრებებზე, და თუ მოვა ძალიან გვიან; დროა რომ ამ სამარცხვინო მოვლენას ბოლო მოეღოს, რადგან ერთის მხრივ ის ვინც თავის დროზედ მოდის ისჯება მით, რომ საათებით უხდება ლოდინი და მეორეს მხრივ ირღვევა პროფესიონალური დისციპლინა.

გრ. თავდგირიძე,

ხელოვნება

— **პროფესორ ალ. ცაგარელის იუბილე.** წელს შესრულდა 60 წელი რაც საზოგადო სამწერლო, ხოლო 50 წელი საპროფესორო-სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა ცნობილი პროფ. ალ. ცაგარელი. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს და პატივცემულ პროფესორის მოწაფეებს განზრახვა აქვთ, ამ დღეებში გადაუხადონ დამსახურებულ პროფესორს იუბილე.

— **სომხური დრამის სეზონის გახსნა** 27 ოქტომბერს, რუსთაველის თეატრში გაიხსნება სომხური დრამის სეზონი. წარმოდგენილი იქნება სუნდუკიანცის პიესა „პეპო". ამ პიესისათვის სპეციალურად მოიწვიეს მსახიობები ტერ-დავითიანი და ვარდუი. პიესა წავა ახალი მიზანსცენებით ალიხანიანის რეჟისორობით.

— **ბახტრიონი** გამოვიდა გაზეთი „ბახტრიონი"-ს მორიგი ნომერი (15).

— **საქართველოს სამხატვრო აკადემია.** ვისაც სურს აკადემიაში, ან მოსამზადებელ კლასში შესვლა, განცხადება უნდა შემოიტანოს 25 ოქტომბრამდე. შემდეგ განცხადებები არ მიიღება. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იყოს, თუ რომელ ფაკულტეტზე სურს შესვლა.

რუსეთი

— **ალ. სუმბათაშვილის ჩამოსვლა თბილისში.** მოსკოვის გაზ. „ისვესტიის" გადმოცემით, ამ დღეებში თბილისისაკენ გამოემგზავრება ცნობილი მსახიობი და დრამატული ალ. სუმბათაშვილი იუჟინი.

— **ლუნაჩარსკის ახალი პიესა.** ლუნაჩარსკიმ დასწერა ახალი პიესა „ლოკის-დათვური ქორწილი". ამ პიესის უმთავრესი სცენარი აშენებულია პროსპერ მერიმეს ნოველაზე. ლუნაჩარსკიმ ეს პიესა წაიკითხა თეატრ „რომანესკში" და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პიესა დაიდგმება ახლო ხანში.

— **„უნივერსალურ ბიბლიოთეკას" განახლება.** სახელმწიფო მთავარ გამომცემლობამ გადაწყვიტა განაახლოს „უნივერსალურ ბიბლიოთეკას" გამომცემლობა, რომელიც მუშაობდა ომის წინ.

წერილი რედაქციის მიმართ

მე, ბორჯომის სახელოსნოს მუშა არჩილ სიმონის ძე ელისაშვილი გამოსული ვარ მენშევიკური პარტიიდგან დღიდგან საბჭოთა მთავრობის შემოსვლისა საქართველოში. მე მუშურ-გლეხურ მთავრობას ვუყურებ დიდი სიმპატიით და ვუსურვებ მუშებისთვის კეთილ გამარჯვებას.

ა. ელისაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარი

ყველა განათლების განყოფილების გამგეებს

თანახმად ს. ს. ს. რესპუბლიკის განათლების კომისარიატის დადგენილებისა, მღვდლები მასწავლებლები განთავისუფლებულ უნდა ყოფილიყვნენ სამასწავლებლო სამსახურისაგან გასულ 1920/21 სამოსწავლო წლის დასაწყისიდანვე. მაგრამ ზოგიერთ კერძო შემთხვევები სხვა და სხვა მიზეზების გამო, კომისარიატის ნებართვით რამდენიმე მღვდელი მასწავლებელი დატოვებულ იქნა სამსახურში სამოსწავლო წლის ბოლომდის. იმავე კომისარიატის კოლეგიის ახალი დადგენილების თანახმათ, მიმდინარე სამოსწავლო წელში არა ერთი მღვდელი მასწავლებელი არ უნდა იქნეს დატოვებული სამსახურში.

ამიტომ ვთხოვთ ყველა მღვდელი-მასწავლებელი, სადაც კი ასეთები არიან დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოთ სამსახურიდან.

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე—მ. ორახელაშვილისა.

პროფ. განათ. მთავარ-მართველობის გამგე—ნ. მგელაძე.

განკარგულება

ფინანსთა სახალხო კომისარისა

ვინაიდან 1922 საგადასახადო წლის სახელმწიფო სარეწავი გადასახადი ბათუმის პირველი და მეორე საგადასახადო განყოფილების მიერ იქნა გაწერილი განსაკუთრებულ პირობებში, ფინანსთა სახალხო კომისარმა დაადგინა:

ზემოხსენებულ საგადასახადო განყოფილებების მიერ გაწერილ გადასახადის გადამხდელთა მიერ ხაზინაში შეტანის ვადა გადაიდოს საურავის დაურიცხავად, ა. წ. 1-ლ ნოემბრამდე ჩართვით.

ფინანსთა სახალხო კომისარი **ბ. ბიბინეიშვილი.**

ცირკულიარი.

თბილისის და ქუთაისის ტექნიკუმის გამგეებს და ყველა სახალხო განათლების განყოფილებებს.

წარსულ წლის შემოდგომაზე გამოცემულ ტექნიკუმების დებულების მე-17 მუხლის ძალით კვირაში ერთი დღე შეღავათიან დღეთ არის ნავარაუდევი. უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ასეთი წესი სასურველი და პედაგოგიური თვალსაზრისით მიზან შეწონილია ნორმალურ პირობებში ჩაყენებულ სკოლებისათვის; დღევანდელ დღეს კი, როდესაც სკოლა ისედაც დაგვიანებით იწყებს მუშაობას, როდესაც დღიური გაკვეთილების რიცხვი უმეტეს ნაწილად, მეტადრე ზამთრის დღეებში, არ აღემატება სამს, და მთელი სამოსწავლო წელი, სხვა და სხვა მიზეზების და პირობების გამო, მოკლდება თითქმის ხუთ თვემდე,—ყოველკვირეული „შეღავათიანი" დღეები ზედ მეტად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ შეღავათიანი დღეები ჩვეულებრივად ეხლანდელ პირობებში უბრალო უქმე დღედ იქცევა, იდეურად კი ამ შეღავათიან დღეებს სულ სხვა მიზანი და დანიშნულებანი აქვთ.

ამიტომ კომისარიატი გაუწყებთ, რომ ზემოაღნიშნული დებულების მე-17 მუხლი გაუქმებულია და ამასთანავე დასძენს, რომ ამა თუ იმ ტექნიკუმის პედაგოგიურ საბჭოს, რა საკვირველია, შეუძლიან მოაწყოს დროგამოშვებით (მაგალ. თვეში ერთხელ) შეღავათიანი დღე, ხოლო იმ აუცილებელ პირობით, რომ იგი იქნეს გამოყენებული, როგორც მას შეჰფერის (ლიტერატ. დილა, ექსკურსიები და სხვ.) და არ გადაიქცეს უბრალო უქმე დღეთ.

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე მ. ორახელაშვილიახა.

პროფ. განათ. მთავარმმართვე გამგე ნ. მგელაძე.

ბრძანება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისა

№ 228.

11 ოქტომბერი 1922 წ. ქ. ტფილისი.

ცეცხლის წინაღმდეგ მოქმედების მიზნით, ქ. ტფილისში თეატრებისა და კინემატოგრაფების დათვალიერებისათვის, და მათში არსებულ ცეცხლის წინაღმდეგ მომქმედი მოწყობილობათა გამოცდისათვის, ინიშნება ცეცხლისაგან დაცვის ინსპექტორის მოადგილე ამხ. მასის თავმჯდომარეობით კომისია, რომელშიდაც შედიან წარმომადგენლები: განათლების სახალხო კომისარიატიდან ამხ. ივანიცკი, ქ. ტფილისის ამასკომიდან-ინჟინერი ავესალომოვი და ქალაქის ცეცხლმქრობი რაზმისაგან პირველი განყოფილების ბრანდმეისტერი ამხ. კამენიცკი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **გეგეჭკორი.**

საქმეთ მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

ფოსტა

ყველა თანამშრომლებს და პროვინციის კორესპონდენტებს. ყველა მასალები უნდა იგზავნებოდეს აუცილებლივ ერთ გვერდზე და სუფთად დაწერილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ხუთშაბათს, 19 ოქტ., საღამოს 6 ს. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბინაზე გაიმართება საქ. კომპარტიის **თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა.** თბილისის კომიტეტის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბ. კომიტ. მდივ. **მ. კახიანი.**

2—1

ხუთშაბათს, 19 ოქტ., საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კოლუბანის 3) დანიშნულია **კავშირის წევრთა საერთო კრება** ურთიერთ დახმარების სალაროს დასაარსებლად.

დღის წესრიგი:

1) სალაროს წესდება;
2) სალაროს ბიუროს არჩევნები.
3) სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ქიმიურ მრეწველობის კავშირი წინადადებას აძლევს კავშირის ყველა უმუშევარ წევრებს გაიარონ რეგისტრაციაში. (კავშირის ბინა—შრომის სასახლე. ოთახი № 31).

რეგისტრაცია სწარმოებს 16 ოქტ. 25 ოქტომბრამდე—5—7 საათამდის.

ვინც არ გაივლის ამ რეგისტრაციას—ჩაითვლება კავშირიდგან გასულად.

სეკრეტარიატი.

საქართველოს კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა გაწმენდის მე 4 რაიონის გამწმენდი კომისია ამით აცხადებს რომ იგი შეუდგა მუშაობას 16 ოქტომბერს.

ყველა იაჩეიკებს ევალება მოაწესრიგოს პარტიის წევრთა პირადი საქმეები და დაუყოვნებლივ წარადგინოს სარაიონო კომისიაში.

იაჩეიკის გაწმენდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბრალდებები, განცხადებები და მასალები კომპარტიის წევრთა შესახებ მიიღება სარაიონო კომისიის მიერ მე 4 რაიკომის ბინაზე (რუსთაველის პრ. 3. № 22) ამხ. უპარტიოებს ვთხოვთ მიიღონ მონაწილეობა იაჩეიკების სხდომებზე გაწმენდის დროს.

კომისია: **სოლოვიანი, ჯორბენაძე, ფეოდოროვსკი.** 3—1.

განცხადებები

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ბარბარე (ვარო) იოსების ასული აბაშიძისა, მამა გიორგი (ბიჭია) ანტონის ძე აბაშიძე, ბიძა დეკანოზი ირაკლი აბაშიძე მეუღლით და შვილებით, და ელისაბედ გიორგის ასული და სიძე ვლადიმერ ასლანის ძე ჯაფარიძენი შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ სოფ. ჭალაში (საჩხერის რაიონი) უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე აბაშიძე

ცხედრის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, ოქტომბრის 19-ს სოფ. ჭალაში (საჩხერის რკინის გზის სადგურიდან რვა ვერსტის მანძილია) (კრ. 405 2—2)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

ოთხშაბათს 18 ოქტომბერს

სევილიელი დალაქი

ხუთშაბათს 19 ოქტ.

„ფაუსტი და ვალპურგიის ღამე"

პარასკევს 20 ოქტ.

კარმენი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

1—1

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

ბაქოში მოქ. კოგანის წიგნის მაღაზიასთან 1 ოქტომბრიდან გაიხსნება

გაზეთის ტრესტის ბაქოს განყოფილება,

სადაც სწარმოებს ხელისმოწერა ტფილისის ყველა გაზეთებზე, განცხადებების მიღება ტფილისის ყველა გაზეთებისათვის და გაზეთების ცალკე ნომრების გაყიდვა.

გაზეთის ტრესტის რწმუნებულად და ბაქოს განყოფილების გამგედ დანიშნულია მოქ. **გრიგორი ახათიანი.** (3—3)

რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის

კანტორა

ამით აცხადებს, რომ ყველა ფუნქციების ოფიციალურ გახსნამდე, ის ღებულობს გადასაგზავნათ ფულს რესპუბლიკის ყველა ქალაქებში, სადაც კი არსებობენ სახელმწიფო ბანკის კანტორები და ანაღდებს იმავე ქალაქებიდან გადმოგზავნილ ფულს.

2—1

ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს,

დიდუბეში იპოდრომზე

გაიმართება

დოღი

დასაწყისი დღის პირველ საათზე

ბუფეტი ტოტალიზატორი

ტელეფონი № 121. 1—1

დამატებითი სამგზავრო მატარებელი

ჩქარი მატარებლის № 5-ის ცხრილის მიხედვით

ტფილისიდან როსტოვამდე

ამიერკავკასიის რკინისგზათა სამმართველო აცხადებს, რომ ხუთშაბათს 19 ოქტომბერს, დილის 8 საათზე ტფილისიდან როსტოვამდე კავკავის რკინის გზის სარეზერვო შემადგენლობის გადასაყვანად ჩქარი მატარებლის № 5-ის ცხრილის მიხედვით, გაიგზავნება დამატებითი მატარებელი, რომელზედაც გაიყიდება სამგზავრო ბილეთები მაგარ და რბილ ადგილებში—ბარგის მიღებით. (406—2—2)

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი

წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებას და ადმინისტრაციას წარმოუდგინოს მას სიმონ დავითის ძე **რაბინოვიჩი,** მცხოვრები ბელინის ქუჩაზე № 46 ან დიდი მთავრის ქ. № 48 ნიშნები **შემდეგი:** შუა ტანისა, 25 ან 26 წლისა, სტუდენტი, ოქრომჭედელი. აგრეთვე კონსტანტინე **ბარკალაია** და ალექსანდრე **ურიდია,** რომლების ნიშნები გამოურკვეველია.

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის
თავმჯდომარის მაგიერ **ვ. ბერბერაშვილი.**
(401—3—2) პასუხისმგებელი მდივანი **ლ. მანჯავიძე**

ქართული შეერთებული სამხედრო სკოლა

ამით აცხადებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 1 დეკემბრიდან სკოლა გადადის ნორმალურ ტიპზედ 3 წლიან კურსით და განყოფილებებით:

ქვეითა, ცხენოსანი, საარტილერიო, სამხედრო საინჟინერო, ამასთანავე ყველა ახლად შემოსული ჩაირიცხება სკოლის უმცროს კლასში.

სკოლაში მიიღება ყველა მშრომელი, ფიზიკურად ჯანსაღი 18 წლიდან—28 წლამდე, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1) ა. გამოცდების ჩაუბარებლივ მოქალაქენი, რომელთაც დაამთავრეს მთლიანი შრომის სკოლა ან აქვთ განათლების ცენზი ამ სკოლის თანასწორი ან და მასზე უმაღლესი.

ბ. საგანგებო გამოცდებით ის მოქალაქენი, რომელთაც დაუმთავრებელი აქვთ მთლიანი შრომის სკოლა.

2) ყველა მოქალაქეთათვის, რომელთაც სურთ სკოლაში შესვლა, აუცილებლივ საჭიროა ქართულ ენის მტკიცე ცოდნა.

3) სკოლაში შესვლის მსურველნი აძლევენ განცხადებას სკოლის უფროსის სახელზედ. განცხადებას უნდა დაერთოს მოწმობა სწავლა განათლებისა და მიღების დროს რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციის რეკომენდაცია. უპირატესობა ეძლევათ წითელ არმიელებს პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებიდგან გამოგზავნილთ.

4) სკოლაში მიღება დაიწყება ამა წლის 15 ნოემბრიდან და გაგრძელდება 1 დეკემბრამდის, რის შემდეგ თხოვნები აღარ მიიღება.

7—1 სკოლის უფროსი კომისარი ტალახაძე.

შინ. საქ. სახ. კომ. გამოცემა

დაიბეჭდა და იყიდება

საგნობრივი სარჩევი

(Предметный указатель)

ფასი 100 ათასი მანეთი.

1921 წ. „მოამბეში" მოთავსებული საქ. რევკომის და სახ. კომისრების ყველა დეკრეტისა, დადგენილება, ბრძანებისა, დებულებისა, ცირკულიარებისა და სხ.

შეძენა შეიძლება

შ. ს. ს. კ. ჟურ. „მოამბის" რედაქციაში

ევანგულოვის ქუ. № 1.

იქვე იყიდება კომისარიატის სხვა გამოცემანიც:

1) ადგილობრივ გადასახადთა დებულება, 2) სტენოგრაფ. ანგარიშები საქ. მაზრის რევკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეთა ყრილობისა, 3) სამხრეთ ოსეთის რუქა, 4) აჭარისტანის რუქა და სხ.

მზადდება დასაბეჭდად:

1) საქართველოს რუქა, 2) საგნობრივი სარჩევი 1922 წ. კრ. 390 5—5

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული მე-2 რაიონის რკ. გზ. მცველთა ხელმძღვანელისაგან № 105 ჩაითვალოს გაუქმებულათ. **ერგუშა ისრაელიანცი.** 428—1—1.

დაიკარგა მე, მათე (დათა) ნასრიამ უვადო ბილეთი. მოცემული ნიგოეთის თემის სასამართლოსგან. (ნომერი არ მახსოვს). ჩაითვალოს გაუქმებულად. 427—1—1

[illegible] პოლიგრაფიული განყოფილების მე-3 სტამბა. კრუზენშტერნის ქ. № 6.